წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 16 მაისი — № 19

# თემი

ორშაბათი, 16 მაისი — № 19

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპოდენციებს რედაქცია ინახავ მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (Головинскій просп. д. МИРЗОЕВА, № 32. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.



მიიღება ხელის მოწერა

1911 წლისათვის

გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 2 მ. 50 კ. |
| ნახევარი წლით | 2 მ. |
| სამი თვით | 1 მ. |

განცხადებათა ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი | 15 კ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 10 კ. |
| ტექსტის შუაგულს | 20 კ. |
| სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა | 3 მ. |

რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. МИРЗОЕВА, 22, гдѣ книжный магазинъ „Новая Рѣчь".


## ჩვენი გაზეთის თანამშრომელთა მიმართ.

### მოვალედ ვრაცხთ გაცნობოთ:

1) თუ ფოსტით გამოგზავნილ სალიტერატურო მასალაში ფული სრულად არ ექნება გადახდილი გამომგზავნელს, რედაქცია გადახდას არ იკისრებს, მაშასადამე ფოსტიდან არ დახსნილი მასალა ტყუილად დაიკარგება.

2) დაუბეჭდავ მასალის გამო არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ კისრულობს ავტორებთან.

3) წერილები უნდა დაიწეროს არა უმეტეს ორი სვეტისა.

4) წერილები საპირადო ხასიათისა არ დაიბეჭდება, პოლემიკური წერილები მიიღება დასაბეჭდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც კამათს პრინციპიალური ხასიათი აქვს.


მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგსიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება"-ზე

(წელიწადი მეოთხე)

ჟურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ფართო პროგრამით, გადიდებულის ფორმატით, რომელიც შეიცავს 2—3 ბეჭდურ თაბახს. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, პედაგოგები და მწერლები. წლიური ფასი ჟურნალისა არის 3 **მანეთი**, ნახევარი წლით 2 **მანეთი**. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ორ მანეთად**. სოფლის მასწავლებლებს, ვინც ერთბაშად გადაიხდის **სამ მანეთს**, გაეგზავნება წარსული წლის ნომრებიც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში: ტფილისის გარედ კერძო აგენტებთან.

მისამართი; Тифлисъ, Дворянская грузинская гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

САНИТАСЪ

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

Адресъ телеграммъ: САНИТАСЪ Тифлисъ

იყიდება საკუთარი ნაკეთები კანის დასარბილებელი საშუალება

„კოსმოლინი"

აგრეთვე „ფიქვის წყალი"

ოთახების ჰაერის გასაწმენდად.

1904 წლ. დაარსებული

4.400 ფუტის სიმაღლე.

სანატორიუმი

და

საზაფხულო სამყოფი

ექ. ვახტანგ დ. ღამბაშიძისა „პატარა-ცემში" ბაკურიანის რკინის გზაზედ

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, 8–15 წლამდე. 15 თიბათვიდგან 31 მარიამობისთვემდე.

**მიიღება**: დაღლილი, დაქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, სისხლ ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადებული და სხვ., ვისაც ესაჭიროება ჰაერის გამოცვლა, დასვენება და სხეულის გამაგრება.

ფიჭნარი, დასვენება, საზრდოობა დღეში ხუთჯერ, წყლით ექიმობა, ვარჯიშობა, გასართობი მუშაობა, სეირნობა, მოგზაურობა და სხვ.

დაწვრილებით ცნობების შესატყობად მსურველთ უნდა მიმართონ **ექ. ვ. ღამბაშიძეს** წერილით ბორჯომს.

არის რამდენიმე ოთახი დიდებისთვისაც.

ხელოვნური კბილები

გაკეთება ხელოვნური კბილებისა ოქროზე, კაუჩუკზე, ხელოვნურ სასაზე და უსასაოდაც, აგრეთვე სოლებით დამაგრებულ ფესვებზე. ქია ნაჭამ გაწმენდილ კბილებზე ოქროს ანუ ფაიფურის ხელოვნური კბილების ჩამოცმა. წინა კბილების და ლოჯების გასწორება სრულებით უტკივრად.

**კონსტანტინე ქავთარაძე.**

მიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

მუხრანიანთ ქუჩა, სახლი № 5.

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

საქართველოს სიძველენი ტ. III

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა,

ე. ს. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ფასი 3 მან. 50 კ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებს, რომელთაც 1910 წლის საწევრო გარდასახადი შემოტანი აქვსთ ეს წიგნი უსასყიდლოდ მიერთმევათ წ.-კ. გამ. საზოგადოების კანცელარიაში.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.

**გ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.

**ვ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშ.

**გ. ვ. სოგოლევსკი**—ყოვ. დღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606"-ით

ექიმი

გ. ფ. ნათიშვილი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.

**ადრესი**: მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ტელეფონი** 487.

ექიმი

რ. ს. დავთიანი.

შინაგანი და ნერვების ავადმყოფობა.

დილით 12—1 ს.

საღამოთი 5—7 ს.

კოჩუბეევის ქუჩა, № 22

კბილის ექიმი

ნინა გ. ხელიძე

იღებს ავათმყოფებს დილის 9 ს.—2-მდე. საღამოს 5 ს.—7-მდე. ღარიბებს და უმუშევრებს ხელმისაწვდენ ფასებში.

კირხის ქუჩა, სახლი № 34.

რესტორანი

„კაფე-პარიზი"

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები" სხვა და სხვ. ბუტერბროდები, ხაჭაპური.

საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.

**სადილები**: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან

მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ლუდი ბოთლებით და ჭიქებით. ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება საჭმელების მოთხოვნა ცალკე კარტითაც. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე წესიერება.

პატივის-ცემით **თოფურია.**


## ტფილისი, 16 მაისი.

ის საშინელი დაქსაქსულობა, რომელიც კარგა ხანია ემჩნევა ჩვენს საზოგადოებას, ნება-უნებლიედ იქცევს ყურადღებას ყველა დაკვირვებულ მიუდგომელ ჩვენი საზოგადო ცხოვრების მეთვალყურისას.

კითხვები—როგორ უნდა ეშველოს ჩვენს საერთო საკულტურო საქმეს, როგორ უნდა წარიმართოს ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი—მწვავე მეტად ჩასაფიქრებელი კითხვებია. გვერდით ავლა და მიფუჩეჩება—სამარცხვინოა და დანაშაულს უდრის. ამიტომ საჭიროა პირდაპირ შევხედოთ საგანს და მოურიდებლად გამოვსთქვათ ჩვენი აზრი.

ჩვენი საზოგადო საქმეები მეტად აწეწილ-დაწეწილია ამ ჟამად. რომელი საზოგადოებაც გნებავთ აიღეთ გინდ აღმოსავლეთ საქართველოში გინდ დასავლეთში, ყველგან შენიშნავთ, რომ მათ შორის არ სუფევს ის სასურველი ურთიერთობა, რომელიც მხოლოდ წინწამწევ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

პირიქით უფრო შენიშნავთ შემაფერხებელ, წინ-სვლის შემბორკველ სხვა და სხვა მოვლენას. ხშირად ერთი დაწესებულება მეორეს ებრძვის, არა სურს მასთან კავშირი იქონიოს და ამნაირად ორივემ ერთად ერის და საზოგადოების სასარგებლოდ სწიონ ჭაპანი.

ჩვენ რომ გვინდოდეს აუარებელ მაგალითს მოვიყვანდით ამ ჩვენი დებულების დასამტკიცებლად, მაგრამ არა ღირს საკითხის გამწვავება, რომელსაც გამოიწვევს სახელების წარმოთქმა. ყველგან მართლდება ძველი რომაული ანდაზა—nomina sunt odiosa. დაე, ყველა მკითხველმა, ჩაიხედოს თავის გულში. თვითონაც ადვილად მიხვდება, რომ ამ მხრით ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ. საერთო, საზოგადო საქმე ისე არ გვაინტერესებს, როგორც საპირადო. ეს, რასაკვირველია, ასე ყოფილა წინად. ასე არის ახლაც. მაგრამ, ახლა, როცა ცხოვრება მეტად გართულდა, საჭიროა უფრო დიდი მხნეობის გამოჩენა, მოფიქრებული საშუალების გამოძებნა—მით უფრო, რომ ჩვენს დროში დახელოვნებული მოქიშპენი გამრავლდენ ❁ სარბიელი კი ისევის არის და ყველას ვერ იტევს. მაშასადამე ცხოვრების, ენერგიის უნარი და ხალისი ახლაა საჭირო გამოსაჩენად. საჭიროა მწყობრი მუშაობის საერთო გეგმის შემუშავება.

წინა დროში, როცა ცხოვრებაც არ იყო ასე რთული, საზოგადო საქმის წარმოება შედარებით უფრო ადვილი იყო.

მას კარგად უძღვებოდნენ ჩვენი ძველი მოღვაწენი, რომელნიც ინდივიდუალობის მხრით ბევრად მაღლა იდგნენ ახლანდელ საზოგადო მოღვაწეებზე როგორც ნიჭის, ისე მუშაობის ხალისის მხრით. ისინი გვინათებდენ გზას. მათ ხმას ყურს ვუგდებდით და ისე მივდიოდით წინ. ისინი ფიქრობდენ, ბრძანებას სცემდნენ, ჩვენც ვასრულებდით. კეთდებოდა ამნაირად საქმე. აუდიტორია პატარა იყო. წინამძღოლების ხმა გაისმოდა მძლავრად. ადვილი წარმოსადგენი იყო სადა ცხოვრების სხვა და სხვა მოთხოვნილება. ახლა კი, როგორც ვსთქვით, ცხოვრებაც გართულდა, საშუალების გამოძებნაც გაძნელდა და საზოგადო ცხოვრების თვალ-ყურის დევნა ერთი ან რამდენიმე პირისათვის შეუძლებელი შეიქმნა.

წინად თუ ერთ პირს შეეძლო ეფიქრა ჩვენს მაგიერ, ებრძანა ჩვენთვის—ესა და ეს საქმე გააკეთეო, ახლა ეს აღარ შეიძლება, რადგანაც კიდეც რომ იყოს ასეთი მძლავრი პიროვნება, არც არავინ დაუჯერებს. არავინ გაჰყვება,—იმიტომ, რომ აუდიტორია გაიზარდა. ყველა ჰფიქრობს, ყველა მსჯელობს მიუხედავად იმისა, რომ ეს ფიქრი, ეს მსჯელობა შესაძლებელია, უფრო მდარე თვისებისა იყოს, ვიდრე წინანდელი ჩვენი საზოგადო წინამძღოლების ფიქრი და მოსაზრება.

დაიბადა სხვა და სხვა მოთხოვნილებანი.

გაჩნდენ სხვა და სხვა მოღვაწეები, თავიანთ წრეების სურვილების და წადილების დამცველები. საჭიროა ამათ შორის საკულტურო საქმეების გაძღოლა-მოწყობაში ერთსულოვნება, აზრების გაზიარება და მწყობრი მოქმედება. ჩვენ არ ვგულისხმობთ აქ აზრების ერთგვარობას და ერთფეროვნებას, არამედ შეთანხმებას კულტურულ საქმეების ხეირიანად წარსამართავად. ამა თუ იმ საზოგადო მომენტის მიხედვით საერთო მუშაობის გეგმის შემუშავებაა საჭირო კულტურულ საქმეების სარბიელზე.

ამიტომ, ვგონებთ, აუცილებელია მწყობრი მოქმედების მოსაწყობად ხშირად გამართვა თათბირისა ჩვენი ქართულ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებთა შორის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ეს ადვილი საქმეც არის, თუ რომ ოდნავ მაინც ხელს გავანძრევთ და სურვილს გამოვაცხადებთ.

მაგალითად, რატომ აქამდინ არ ეთათბირებიან ერთმანეთს ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობის დაწესებულებანი, წერა-კითხვის, სასკოლო, განათლების, სამეურნეო და სხვა მრავალი საზოგადოებანი, ბანკები, ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და კიდევ ბევრი სხვა ჩვენი კულტურული დაწესებულებანი?

განა საერთო კულტურული საკითხები

ცოტაა? განა მსჯელობისათვის საჭირო მასალა ცოტა გვაქვს?

საერთოდ შემუშავებულ გეგმას, აზრს უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე კერძოდ წარმოდგენილსა.

თორემ ახლანდელი რომელიმე დაწესებულების ცალკე მოქმედებას არ შეიძლება მოჰყვეს სასურველი და სასარგებლო შედეგი.

ვამბობთ ამას და მოველით პასუხს: სად არიან ამ გეგმის აღმასრულებელი პირები სხვა და სხვა ჩვენს საზოგადო დაწესებულებაში? ჩვენ ვიტყვით, რომ არიან, თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა. სადაც არ არიან, იქ უნდა გავაჩინოთ. უსარგებლო პირები გამოვცვალოთ და სხვა უფრო ხალისიანები ჩავაყენოთ.

ეს არის დღევანდელი საჭირ-ბოროტო საკითხი. ეს არის ერთად-ერთი გზა. ამ გზის იქით საშველი არა გვაქვს.

მართალია ყველა მიმართულებას არ ექნება ამ თათბირში წარმომადგენელი, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არც მათი, არც ჩვენი ბრალია. ეს მხოლოდ და მხოლოდ გარეშე პირობების შედეგია. მაგრამ იმათაც, ვისაც ბედნიერ წილად შეხვდება ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, შეუძლიათ დიდი სარგებლობის მოტანა საზოგადოებისა და ხალხისათვის.

ეს გზა მიგვიყვანს საზოგადოებრივი აზრის შექმნამდე და ეს გარემოება ხომ საუკეთესო ფაქტორად არის მიჩნეული ყველგან პროგრესისა და წინსვლისათვის...

## საგულისხმო მოწოდება.

ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ დაუგზავნა თავის აგენტებს სოფლად ხალხში გასავრცელებლად შემდეგი მოწოდება:

„სოფლის მეურნეობას ჩვენში დიდი გასაჭირი ადგია. ვის არ უთქვამს, ვის არ გაუგონია ჩივილი, რომ ღირსებით და რაოდენობით უწინდელ მოსავლის ხსენებაც კი აღარ არის. ვინ არ იცის, რომ საქონლის მოშენება გაძნელდა, რომ ღვინის და სოფლის ყოველგვარ სხვა ნაწარმოებს შესაფერი ფასი აღარა აქვს! ყოველგან სიღარიბე, უფულობა და ჩივილი, რომ სოფლის მცხოვრები სახელმწიფო გადასახადს ძლივს უძლებს.

ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილ სოფელს ობობასავით თავის ქსელში ოსტატურად ახვევს ხარბ-ვაჭარი და ხელიდგან აცლიან მიწის უკანასკნელ შემოსავალს.

სოფელი გაღარიბდა. მისი გაღარიბება ძირს უთხრის ჩვენის ქვეყნის კეთილ დღეობას და ცხოვრების განვითარებას, აფერხებს ვაჭრობასა და მრეწველობის გავრცელებას.

ამისთანა მდგომარეობის ხანგრძლივი მოქმედება გადაგვარებას უქადის არამც თუ მარტო სოფელს, მთელს ერსაც.

შველაა საჭირო. საჭიროა ჩვენი სოფლის გარდაქმნა. სოფელს და იქ მცხოვრებს შრომისა და მეურნეობის ახალი წესები უნდა ვასწავლოთ.

ევროპაში სხვა და სხვა სახელმწიფოშიაც სოფელი ერთ ხანს ჩვენებურ სოფელივით დაბეჩავებული იყო. იქაც შველა შეიქნა საჭირო. იქაც შველამ მოხერხდა და სოფლის აღორძინებასა და აღყვავებას მტკიცე საფუძველი მიეცა.

ჩვენც ასევე უნდა გამოვაფხიზლოთ ჩვენი სოფელი და ახალი მიმართულება მივცეთ მის ცხოვრებას.

ამ აზრით დაარსდა **ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება** და ფიქრად აქვს შეერთებულ მეცადინეობით ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას ჩვენში.

საზოგადოების წესდება დამტკიცებულია 1910 წლის 22 დეკემბერს. წევრობა შეუძლიან ყველას, განურჩევლად სქესისა და წოდებისა, ვინც თვითონ უდგია სოფლის მეურნეობას და ყველას, ვინც ყურადღებას აქცევს სოფლის ცხოვრებას. საწევრო ფული წლიურად სამი მანეთია დანიშნული. მხოლოდ, პირველ წელს წევრად ჩაწერის დროს ახალი წევრი იხდის ერთდროულად კიდევ ერთ მანეთს. საქმეს საბჭო და საზოგადო კრება განაგებენ.

რა ღონისძიებას უნდა მიმართოს ახალმა სამეურნეო საზოგადოებამ?

1, საზოგადოება მცოდნე და გამოცდილ აგრონომ-ინსტრუქტორებს (ხელმძღვანელებს) მიიწვევს და მათის დახმარებით სხვა და სხვა სოფელში სცდელ და სანიმუშო სადგურებს მოაწყობს. ამნაირად ხალხიც ნათლად დაინახავს მეურნეობის ახალ წესრიგის უპირატესობას და ეცდება თავის კერძო ცხოვრებაშიაც ეს წესები გამოიყენოს.

2, საზოგადოება მოაწყობს საჯარო ლექციებს და საუბრებს სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის შესახებ. ამ საუბრებს და ლექციებსაც გამართავენ იგივე ინსტრუქტორები თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა მხარეს. ყველას, ვინც მოისურვებს თავის მამულში ახალი რამე დასთესოს, ან თავის მეურნეობაში რამე წესი შემოიღოს, ინსტრუქტორები უსასყიდლოდ საჭირო რჩევას მისცემენ და ხელმძღვანელობას არ მოაკლებენ.

3, სცდელ და სანიმუშო სადგურებში და კერძო მამულებშიაც ინსტრუქტორები მიწის მუშებსაც შრომის საუკეთესო წესებს შეაჩვევენ და შეასწავლიან.

4, საზოგადოება შეძლებისა და გვარად გამოსცემს ქართულად სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის შესახებ სახელმძღვანელო წიგნაკებს და ამნაირად სოფლად საჭირო სამეურნეო ცოდნას გაავრცელებს.

5, საზოგადოება სოფლად საკრედიტო და სხვაგვარ კოოპერატიულ ამხანაგობებს დაარსებს და ამნაირად ხელს შეუწყობს მცირე სარგებლით სესხის შოვნას, სოფლის ნაწარმოების საუკეთესო წესრიგით მოყვანას და საუკეთესო ფასებში გაყიდვას. აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა ახლად დაარსებულ ამხანაგობებს. ამისთანავე საზოგადოება შეძლებისა და გვარად თვითონაც დაარსებს საწყობებს და საკომისიო ბიუროებს მეურნეობისათვის საჭირო ნივთების შესაძენათ და ადგილობრივ ნაწარმოების გასასაღებლად.

გამოცდილება თანდათან გვიჩვენებს, რა დაგვჭირდება კიდევ მომავალში. საჭირო მხოლოდ საქმის დაწყება, პირველ ნაბიჯის გადადგმა. შემდეგ ხალხი თვითონ დაინახავს ამ საქმის სარგებლობას და შეიგნებს, რომ ახლანდელ სავალალო მდგომარეობიდგან თავის დაღწევა ადვილი არის. დასავლეთ ევროპის გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ იქაც ყოველგან საქმის პირველი ნაბიჯი გაუბედავი ყოფილა, მაგრამ მალე ხალხს გაუგია საქმის ნამდვილი მნიშვნელობა და 10—15 წლის განმავლობაში კოოპერაციის წყალობით სრულებით შეუცვლიათ ძველი სასოფლო მეურნეობა. ასეთის საოცრებით გაიზარდა საქმე იტალიაში, დანიაში, ჰოლლანდიაში, ირლანდიაში და ბევრგან სხვაგანაც,—გერმანია ხომ სასოფლო კოოპერაციის სამშობლო არის.

მეურნეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ფულის შოვნაც მოსახერხებელია, ამისათვის უნდა დაარსდეს სოფლებში საკრედიტო ამხანაგობები. სოფელსვე უნდა მოხმარდეს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სამეურნეო ბანკი, რომლის დანიშნულება სწორედ მეურნეობის სამსახურია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სამეურნეო ბანკიც ჯეროვან მონაწილეობას მიიღებს ამ დიდ საქმეში, სოფლის საკრედიტო ამხანაგობებს სათავეში ჩაუდგება, გაავრცელებს და შეაერთებს მათ.

მაგრამ საჭიროა, და აუცილებლადაც საჭირო, რამდენიმე თავდადებული მოღვაწე, რამდენიმე ისეთი კაცი, რომელიც საქმის მოსწყობათ საკუთარ შრომას და მეცადინეობას არ დაიზარებს. დარწმუნებული ვართ, რომ მოიპოვებიან ასეთი თავდადებული და ქვეყნის ერთგული შვილები. მხოლოდ მათი შეკავშირება, შეერთებული და მიზან-შეწონილი შრომაა საჭირო.

ყველა, ვისაც გულში უკეთეს მომავლის იმედი არ ჩაჰქრობია, ვისაც სურს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებით ჩვენის სამშობლოს ცხოვრებას ახალი მიმართულება მისცეს,—დარწმუნებული ვართ,—მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ახლად დაარსებულ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში და ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს მას და მით გზას გაუკაფავს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას“.

საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე **თ. დიმიტრი ჩოლოყაშვილი.**

მისი ამხანაგი **სვიმონ ვახვახიშვილი.**

წევრები: **კონსტანტინე ამირაჯიბი, ვასილ რცხილაძე, პლატონ ლორთქიფანიძე, ეგნატე იოსელიანი, სერგეი ყაზახაშვილი, სვიმონ ხუნდაძე, გრიგოლ ქურდიანი, იოსებ ქუთათელაძე, დავით ნახუცრიშვილი, დავით ვაჩნაძე.**

იმედია, ჩვენი ხალხის სხვა და სხვა წრეები თანაგრძნობით შეეგებებიან ამ მოწოდებას და უფელ ღონეს იღონებენ, რომ ამ ყოვლად სასარგებლო საშვილიშვილო სახალხო საქმეს ახლავე ჩაეყაროს მყვიდრი მყვიდრი საძირკველი. ეს არის პირველი საზოგადოებრივი ცდა სოფლის მეურნეობის აყვავებისაკენ მიმართული და დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ იმედი არ გაუცრუვდებათ ამ დიადი საქმის უანგარო თაოსნებს.

## გრ. რობაქიძის ლექცია.

ოთხშაბათს, 18 მაისს, **გრიგოლ რობაქიძე** ქართულ თეატრში წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას. საგანი ლექციისა: **ფრიდრიხ ნიცშე.** ლექციის ზოგადი მიმდინარეობა, ლექტორის გადმოცემით, შემდეგია.

ფრ. ნიცშე საიდუმლოთ ანთებული გენიოსია, რომელმაც წაუშლელი ზოლი გააყოლა თანამედროვე ევროპის კულტურას: რელიგიას, ფილოსოფიას, ხელოვნებას. მთავარი მოტივი მისი მქნელობის ადამიანის „მეობის“ საიდუმლოებაა. შოპენჰაურის განცდით მან შეიგნო ძველ ინდოელთა მისტიკა: ადამიანის „მე“ მისგან გამოსვლაში ისახება: აქედან—განდეგილობა და საიდუმლო ჭვრეტა ნირვანაში—ეს დებულება ნიცშემ უფრო აშკარად ელლინთა სულიერ კულტურაში გამოსახა დიონისოს სახით. დიონისოსა და აპოლლოს სინტეზში მან დაინახა წარმოშობა ელლინთა ტრაგედიისა. აქ ნიცშეს წინაშე სდგება მუსიკა და მუსიკალური განცდა. იგი ითვისებს შოპენჰაურის ინტუიციას მუსიკის შესახებ და ჰქმნის მუსიკის ფილოსოფიას. მუსიკალურ განცდაში ადამიანი გამოდის თავის ყოველდღიურ „მესაგან“ და ეზიარება მსოფლიოს საიდუმლო „მეს.“ მუსიკის განმცდელს ყოველი განცდა სიმბოლიური სახით ევლინება: ის, რასაც მე ამ წამს განვიცდი, ამბობს მუსიკით დატკბობილი, შესაძლოა ოდესმე და სადღაც მართლაც მომხდარიყოს: აქედან—მუსიკით განცდილი ამბავი ისტორიული კი არაა, არამედ მისტიური. დიონისიური დითირამბი ელლინთა ტრაგედიაში სწორეთ მუსიკალური წრეგადასულობაა: თვითონ დიონისო ხომ წრეგადასულია ყოველთვის. აქ თავსა ჰყოფს ფენომენი სხვად-ქცევისა და სახე-ქცევისა (ფენომენი თეატრალურ წარმოდგენისა). ადამიანის „მე“ ამ პროცესში სხვად იქცევა ხელოვნურად: „მე“ გადადის „შენ-ში“, „შენ“ „მეში“, ყველა კი—ეზიარებიან მსოფლიო საიდუმლო „მეს.“ ამგვარი განცდა სიხარულს აორკეცებს და ტანჯვას ამსუბუქებს (მაგ. ქართული მისტერია-გარდაცვალებულის გამოტირილი); ამითვე იხსნება ის მოვლენა, რომ ტრაგიულის განცდის ჟამს ჩვენ ცრემლებსა ვღვრით, მაგრამ ამასთანავე უაღრესს სიტკბოებასაც ვგრძნობთ; ამას ძველი ელლინი არისტოტელის სიტყვით „კათარხის“-ს, განწმენდას უწოდებდა... მუსიკის საიდუმლოების გაღრმავებაში ნიცშე მეორე დიდს გენიოსს—ვაგნერს შეხვდა, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა ნიცშეს მქნელობასა და სიცოცხლეში.

აი, გამოსავალი მუხლი ნიცშეს ფილოსოფიისა. იგი მუხლი ქვეით და ქვეით ამრიგ იხსნება. თუ მუსიკალურ განცდაში ადამიანი თავის მისტიურს „მეს“ ნახულობს, მაშასადამე იგი „მე“ ყოველთვის ყოფილა. აქ თავს იჩენს ნიცშეს მთავარი იდეა—**იდეა მარადის მობრუნებისა.** ნიცშე თითქო ასე აზრობს: ადამიანის ნამდვილი „მე“ ყოფის მიმალულ კუნჭულში არსებობს და თავს იჩენს ხოლმე მუსიკით მთვრალობაში: იგი თითქო უბრუნდება ადამიანის ყოველდღიურ არსებას. აზრი ამ მობრუნებისა იმაში მდგომარეობს, რომ გარდაქმნას იდეალურად ნამდვილ „მემ“ ადამიანის ყოველდღიური არსება. აქ კიდევ სხვა იდეა იჩენს თავსა: ეს არის **სიყვარული შორეულისადმი:** ადამიანს უნდა უყვარდეს შორეულის ანუ მისი ნამდვილი „მე.“ ის, რაც ხელს უშლის ამ „მეს“ განხორციელებას, ის უნდა დაითრგუნოს: ამგვარია ყოველდღიურობა, ქვეწარმავალი და საზიზღარი. აქ სიყვარული შორეულისადმი გადადის სულ სხვა იდეაში: ეს არის **ნება ძალისადმი და ულმობელობა ყოველის ყოველდღიურობის მიმართ.** მაგალითი შორეულის სიყვარულისა და ახლობელის სიძულვილისა ბევრია თვით საქართველოს ცხოვრებაშიაც.

ამ იდეათა კრებულს ამთავრებს **იდეა ზესთ-ადამიანისა.** ეს იდეა ამნაირად იბადება ნიცშეს ფილოსოფიაში. თუ დიონისო მშვენიერი წრეგადასულობაა (მუსიკალური თრობა, „მეს“ დაკარგვა, თავდავიწყება, მსოფლიოს ზიარება), აპოლლო საუცხოვო ჭვრეტაა მზის თვალით ამ მშვენიერის ალ-ნაკადულისა... აქ დიონისიური ვნება-შლა სხეულდება აპოლლოს ჭვრეტით,—და იბადება ახალი ადამიანი, ახალი „მე“, ანუ ზესთადამიანი. ეს შეხვედრა დიონისოსა და აპოლლოსი ისე ძლიერი იყო ნიცშეს განცდაში, რომ უკანასკნელმა ვერ დაიტია ეს მატყვევებელი სინათლე და შეიშალა. ნიცშე სიმბოლიური ფიგურაა თანამედროვე კაცობრიობისა.

წყაროები. ელლინთა ის სულიერი ნაკადული, რომელმაც ნიცშე აამეტყველა, მშვენივრად არის განხილული შემდეგ ავტორთა შრომებში: 1) Erwin Rohde: Cr. Psyche, 1894; 2) Welcker: Greschischte gr. Götterlehre, მეორე ტომი, 1853-63; 3) O Müller: Prolegomena zu einer wissenschaftlichen Mythologie; 4) O Gruppe: Die gr. [illegible] 1886.

მუსიკის შესახებ: შოპენჰაურის: Die Welt als Wille u. Vorstellung (არის რუსული თარგმანი). სპეციალურად ნიცშეს შესახებ: 1) G. Simmel: Schopenhauer u. Nietzsche; 2) A. Riehl: Fr. Nietzsche (არის რუსული თარგმანი); R. Richter: Fr. Nietzsche. გარდა ამისა შეიძლება ხელმძღვანელობა შემდეგი ევროპიელ ავტორებით: რიბო, [illegible] გალლევიტც, გრიმმ, კალტჰოფ, [illegible] ბერგე, ანდრეას-სალომე, კატც, [illegible] შტაინერ, ბრანდეს, ჰორნეფერ, [illegible] რაინერ, ცაიტლერ, ციგლერ, [illegible] მრავალი სხ.

რუსეთის ლიტერატურაში: 1) მერეჟკოვსკი: ლეონ ტოლსტოი და დოსტოევსკი, ტ. მეორე; 2) ვიაჩ. ივანოვის თხზულებანი; 4) ლ. შესტოვის თხზულებანი; [illegible] ს. ფრანკის წერილი კრებულში „Проблемы идеализма“; 6) პ. სტრუვეს [illegible] ვილი ბერდიაევის წიგნში; 7) ანდრეი ბელის წერილი მის „არაბესკებში“; 8) [illegible] სოლოვიოვის წერილი ზეკაცის შესახებ მრ. სხვ..

## ბავშვების დილა ქუთაისში.

ორშაბათს, 9 მაისს, ქალაქის თეატრში [illegible] ტერინე გაბაშვილის ცოლის პატივსაცემლად გამართულ იქნა ბავშვების დილა, რომელიც შესდგებოდა ხუთი განყოფილებისაგან. [illegible] ბეჭდი მოსწავლე და ბავშვები თავიანთ [illegible] ბით მოაწყდა თეატრს. ბალკონები, [illegible] და ლოჟები სავსე იყო, ბევრგან თითო [illegible] ზედ ორიც იჯდა. შუადღის 12 საათზე [illegible] სადა ფარდა სცენაზედ და დავინახეთ [illegible] პატივცემულ იუბილარის ვარდ-ყვავილებით მორთულ-მოკაზმული, სურათის ირგვლივ [illegible] კი პატარა ვაჟები და ქალები ჩამწკრივებული. ფარდის ახდისთანავე ქართული [illegible] ორკესტრმა ბ. კვაჟანტირაძის ლოტბარობით დაუკრა „მრავალჟამიერ.“ შემდეგ ამისა [illegible] რდილმა ქალიშვილმა წაიკითხა ეკატერინეს ბიოგრაფია; უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიოგრაფია იყო მეტად გრძელი და გაუგებარი ბავშვებისათვის. თან წამკითხველი ისე დაბალი ხმით წაიკითხულობდა, რომ სანახევროდ არც კი გაგვიგონია წაკითხული. პირველ განყოფილებაში [illegible] გო იყო ს. ციციანის ბავშვების მიერ წაკითხული ლექსები, მიმართული ეკატერინესადმი. პირველად წაიკითხა მოხდენილად პატარა [illegible] ლიშვილმა ლექსი და დაასრულა იმ სიტყვებით, რომ აწ ბიჭები ჩვენ გოგოებს ვეღარ დაგვცინებთ; თუ იმათ ყავდათ ილია, სამაგიეროდ ჩვენც გვყავს მწერალი ქალი ბებია ეკატერინე. ბოლოს წაიკითხა ციციანის ვაჟმა მშვენივრად სიღ. ხუნდაძის ლექსი „მომავალ [illegible]

# ფელეტონი

## „ჭიხვთა ჭიდილი“*)

**დრამატიული ნაწყვეტი 1 მოქმედებად.**

**მ ო ქ მ ე დ ნ ი  პ ი რ ნ ი:**

**ქმარი.**
**ცოლი.**
**მეგობარი.**
**მსახური.**

(მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში)

**გამოსლა პირველი.**

(სცენა წარმოადგენს ლამაზად მორთულს მეგობრის სამუშაო კაბინეთს. მარცხნით—ფანჯარა, რომელსაც წითელი ფარდა აფარია, პირდაპირ საწერი მაგიდა. შუაში გრძელი სავარძელი, იქვე საქანელა. კედელზე დიდი საათი).

**მეგობარი და მსახური.**

**მეგობარი.** (შემოდის, უკან მსახური მოსდევს) შენც კარგად იცი რა მოუთმენლად ველი პასუხს; საკვირველია, სად დაიკარგე ამოდენა ხანი?

**მსახური.** ესეს არის დავბრუნდი ბატონო!

**მეგობარი.** პასუხი მოიტანე?

**მსახური.** არა, ბატონო, რადგანაც...

**მეგობარი.** (მოუთმენლად) რა რადგანაც? რა გითხრა ქალ-ბატონმა?

**მსახური.** ასე მიბრძანა: პასუხს შენი ბატონი შემდეგ მიიღებსო; დავსწერ და მე თვითონ უშენოდ გაუგზავნიო.

**მეგობარი.** მერე და ეს სიტყვიერი პასუხი, როგორც ნაბრძანები გქონდა, რატომ დროზე არ შემატყობინე?

**მსახური.** მე დალოცვილო, ქალბატონმა მიბრძანა, რომ ასე ერთბაშათ არ შემიძლიანო... ასე მიბრძანა შემდეგო.

**მეგობარი.** (გაივლ-გამოივლის ნერვიანად) თვითონ ბატონი ხომ არ გინახავს, ან ხომ არ შეჩხირებიხარ თვალებში?

**მსახური.** აბა რად შევეჩხირებოდი, მე ვიცი და უჩვეულო რამ მქონდა დაკისრებული. დიდ ბატონს ეძინა და სწორედ მე რომ წამოვედი, მაშინ უნდა გაეღვიძებინა მსახურს—ჩემს ამხანაგს. დღეს დილით თურმე ძალიან შეგვიანებით დაბრუნებულა ნადირობიდან.

**მეგობარი** გამიგონე, როგორ გგონია, მოვა თუ არა ქალბატონი?

**მსახური.** რასაკვირველია რომ მოვა, რატომაც არ უნდა მოვიდეს!

**მეგობარი.** (მიუახლოვდება მსახურს და ხელებს მხრებზე დაადებს) ქალბატონი აქ უნდა იქმნას, როგორც კი რვა საათი გათავდება, ხომ გესმის?)

**მსხური.** (თავს აქნევს) მესმის შენი ჭირიმე.

**მეგობარი.** თუ ვინიცობაა რვა საათამდი არავითარი პასუხი არ იქმნა, მაშინ გაექანე შენი მეგობრისაკენ და გარდაეცი მას, რომ მე პასუხს ვითხოვ ქალბატონისაგან, გესმის, გესმის, რაიმე პასუხს...

**მსახური.** კარგი, ბატონო! (გადის)

**გამოსვლა მეორე.**

**მეგობარი, შემდეგ მსახური და ქმარი.**

**მეგობარი.** (მარტო. მიუახლოვდება ქოთნებში ჩამწკრივებულ ყვავილებს, ერთს მათგანს მოჰგლეჯს, პაწია ფოთლებიანს შტოს, და ლაპარაკის დროს სათითაოდ აცლის ფოთლებს) მოვა, არ მოვა; მოვა არ მოვა; მოვა! (მიუახლოვდება მაგიდას, გამოაღებს უჯრას და ამოიღებს ფერად წერილების მთელს კონას, რამოდენიმე მათგანს თვალს გარდაავლებს. ამ დროს გაისმის ზარის წკარუნი, მეგობარი ერთბაშათ შეკრთება, ზეზე წამოიჭრება, ამ დროს ერთი წერილი შეუმჩნევლად იატაკზე დავარდება) ჰა, ნუ თუ ის არის? ღმერთო ჩემო, ძლივს!

**მსახური.** (შემოდის შემკრთალი) ბატონო, იქ, წინ, შემოსავალში...

**მეგობარი.** ეე, ვიცი, ვიცი ვინც არის...

**მსახური.** არა, ბატონო, ქალბატონის მაგივრად თვითონ ქალბატონის ქმარი გეახლათ...

**მეგობარი.** რაო? ეს ყოვლად შეუძლებელია! მაგრამ შენ ხომ მაინც ასე მოახსენე, რომ ბატონი შინ არ არის-თქო!.. (მეგობარი მივარდება ფანჯარას და ფარდას ჩამოუშვებს)

**მსახური.** გვიანღაა ბატონო! როგორც კი შემოსავალ კარებში ფეხები შემოადგა, იმ წამსვე სიხარულით შემომძახა: „ძალიან კარგი, რომ შენი ბატონი შინ იმყოფება; მე ქუჩიდანვე შევნიშნე მის კაბინეტში სინათლე“-ო.

**მეგობარი.** რაღა ვქნა ეხლა? კარგი, სთხოვე მობრძანდეს. (მსახური გადის. საჩქაროდ იწყებს მაგიდაზე გაფანტული წერილების შეკვრას და უჯრაში ინახავს. ამ დროს შემოდის ქმარი).

**ქმარი.** თუ ღმერთი გწამს, ნუ დამერიდები და ნუ ეშურები წერილების შენახვას. აბა, ახლო მეგობართ შორის, რა საჭიროა ამგვარი მოქმედება. (თავაზიანად აწვდის ხელს. მეგობარი მხოლოდ ეხლა შენიშნავს იატაკზე დავარდნილ სახიფათო წერილს, რომელსაც უხერხულად ფეხს დააბიჯებს დასამალავად).

**მეგობარი.** გარწმუნებ ესეს არის ვათავებდი ერთს მეტად საჩქარო წერილს და, აი, შენც შემომასწარ.

**ქმარი.** ვინ იცის, შეიძლება ის წერილი უფრო ჩქარა ორ-ფეხა ცოცხალი წერილი იყო და ჩემი შემოსვლის დროს ერთბაშად მიიმალა (იცინის).

**მეგობარი.** საუცხოვოდ და ჩინებულად მახვილობ, მაგრამ ამ შემთხვევაში შენი წინადადება სინამდვილეს სრულიადაც არ შეესაბამება.

**ქმარი.** კარგი, კარგი, დავიჯეროთ, რომ რასაც შენ ამბობ სრული ჭეშმარიტებაა (გაივლ-გამოივლის, თან მხიარულად დიდინებს) შენ არც კი მეკითხები, თუ რამ მაიძულა ასე მოულოდნელად თავს დაგცემოდი...

**მეგობარი.** კარგი ერთი. შენი აქ ყოფნა ჩემთვის სრულიად საკმარისია...

**ქმარი.** ვერ წარმოიდგენ, როგორ მიჩვარს, როდესაც შენ თავაზიანობითა და მაღალ ფარდოვან სიტყვებით იწყებ ხოლმე საუბარს. მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენი ლაპარაკის საგანს. პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ჩემმა ცოლმა მეტად მოიწყინა უშენოდ!

**მეგობარი.** (დაუფარავის ირონიით) ცოტა არ იყოს ორიგინალური ამბავია და მერე რას ჰფიქრობ შენს ცოლზე, როგორც მისი კანონიერი მეუღლე და ბატონ-პატრონი?

**ქმარი.** მე? მე რომ დაახლოვებით არ ვიცნობდე ჩემს ცოლს და დაწვრილებით არ ვიცოდე ყოველივე ის, რითაც კი სულდგმულობს და გამსჭვალულია მთელი მისი არსება—მაშინ, რასაკვირველია, ვიფიქრებდი, რომ შენ ეარშიყები ჩემს ცოლს...

**მეგობარი.** და წინაამდეგ ამისა, საბედნიეროდ, შენ არა ერთხელ გაგიგონია, ალბად, შენი ცოლისაგან ჩემს შესახებ გამოთქმული აზრები, იცნობ მას კარგად და იმავე დროს, გამოტყდი, მაინც ვერ შერიგებიხარ იმ აზრს, რომ...

**ქმარი.** დიახ, მართალი ხარ... მაგრამ თავი დავანებოთ ამას; სამი კვირა იქნება, რაც შენ ჩვენსა არ ყოფილხარ...

**მეგობარი.** სწორედ ამ მოვლენას უნდა დაემშვიდებინე სავსებით და შენი იჭვებიც, როგორც ყოვლად უსაფუძვლონი, თავის-თავად გაჰქრებოდნენ...

**ქმარი.** ოო, რასაკვირველია... მახსოვს და მის შემდეგ არც ისე დიდმა დრომ განვლო, საზღვარ-გარეთიდან ახლად ჩამოსული შენ თითქმის ყოველ დღე დაიარებოდი ჩვენთან, ხშირად გვნახულობდი, და... ერთბაშად შესწყვიტე სიარული. ჩემს ცოლს შენ გულწრფელად უყვარხარ, როგორც პატარაობიდანვე თან შეზრდილი ძვირფასი მეგობარი. და აი სწორედ მას შემდეგ, რაც ჩამოგვშორდი, ძალზე დაღონებულია—ასე გვგონება ძვირფასი რამ დაეკარგაო. ეს გარემოება ძალაუნებურად მეც მაფიქრებს...

**მეგობარი.** შეიძლება შენი ცოლი ავად არის?

**ქმარი.** ოხ, არა! აქ სულ სხვა რამ მიზეზი უნდა იყოს. მაგრამ, შეიძლება ჩემი ცოლი და შენ ერთმანეთს გაებუტეთ? ცოტა არ იყოს ამგვარი დასკვნა მოულოდნელ უცნაურობად უნდა ჩაითვალოს იმ მართლაც მეგობრულ განწყობილებისათვის, რომელიც თქვენს შორის არსებობდა და რომლის შესახებაც ყველგან ლაპარაკობდნენ. მაგრამ ვინ იცის?! კაცნი ვართ! აი, მაგალითად, დღეს დილით დავბრუნდი თუ არა ნადირობიდან, ვეკითხები: „ხომ არ ყოფილა“—მეთქი, და პასუხად ნაღვლიანის კილოთი შემომჩივლა: „არა, არ ყოფილა! როგორც სჩანს სრულებით აიღო ხელი ჩვენზე და თუ ეს ასეა, მოჯულება სჭირიაო!“ და აი შენი უმორჩილესი მსახურიც როგორც ხედავ, გამოვეშურე შენსკენ მისი ბრძანების შესასრულებლად.

**მეგობარი.** (ხმას არ იღებს და ნაღვლიანად გაიყურება სცენის სიღრმეში).

**ქმარი.** გამიგონე, მე და შენ ხომ ძველის-ძველი მეგობრები ვართ, პატარაობიდანვე თან შეზრდილი...

**მეგობარი.** (მწარეს ირონიით) მეგობრები და მერე როგორი? ამ მეგობრულმა გრძნობამ შენ გაგაბედვინა, რომ მოგეტაცნა ჩემთვის, ჩემდა დაუკითხავად, ჩემი სიცოცხლის უძვირფასესი განძი და შენად გაგეხადნა. ის განძი დღეს—შენი ცოლია.

**ქმარი.** შენ კიდევ შენსას მოჰყევი! ეჰ, თავი დავანებოთ ამას... „მას ნუღარ ჰსტირით, რაც დაკარგულა“, ამბობს მგოსანი და არა მგონია, რომ წარსულში ხელის ფათურითა და გონებაში ჟამ-გარდასულ ამბავთა აღდგენით შესაძლებელი იყოს ტანჯვის შემსუბუქება და რაც მოხდა, იმის გასწორება... ამასთანავე, საჩხუბრად კი არ მოვსულვარ შენთან, არამედ სასიამოვნო ამბების საუწყებლად. განა არა გრცხვენია? მაშ ასე, ბევრად უმჯობესი იქნება სიტყვას რომ მოგვცემდე და ხვალ საღამოს ჩვენსა შემოივლიდე... სტუმრები გვეყოლება.

**მეგობარი.** ტყუილად ირჯები, ჩემი იმედი ნუ გაქვს: მე არ მოვალ.

**ქმარი.** როგორ, უარს ამბობ და არ მოხვალ? ეს ხომ, სხვა რომ არაიყოს-რა, შეურაცხყოფაა იმ გულ-წრფელის განწყობილებისა, რომელსაც შენდამი ვიჩენთ მეც და ჩემი ცოლიც.

**მეგობარი.** (ერთბაშად მიუახლოვდება ქმარს) არ მოველ, რადგანაც არ შემიძლიან დამშვიდებით უმზირო შენს ცოლს, გესმის? რას მიყურებ აგრე გაკვირვებული? განა შენთვის ყველაფერი ცხადი არ არის? რახან ასეა, მაშ დამიგდე ყური და ყველაფერს დაუფარავად გეტყვი: ყოველთვის, როდესაც შენთან ვიმყოფები და შევყურებ შენის ცოლის სანდომიანს სახეს, მის წარმტაც, ვნებათა ამშლელს მადლიანს თვალებს, იმ თვალებს, რომელნიც ასე უიმედოთ მიყვარს,—რაღაც იდუმალი ხმა მოსვენებას არ მაძლევს და დაჟინებით ჩამძახის: „შენ ხომ ის გიყვარს? მაშ, მიდი, მოჰკიდე ხელი! ან იქნებ ბედნიერებისაკენ გზას გილობავს ვინმე“? და ერთბაშად წარმომიდგები შენ, ჩემი მეგობარი. ჩემი ამხანაგი, რომელმაც სიცოცხლის უძვირფასესი განძი მომტაცა, თუმცაღა კი არ იცოდი, რას იქმოდი. ხან კიდევ, როდესაც სადმე შენი ოთახის კუნჭულში ვზივარ და ხმის ამოუღებლად თვალებს ვადევნებ შენი ცოლის მიხვრა-მოხვრას, ყურს უგდებ მის ტკბილს საუბარს, ძალა-უნებურად გამიტაცებს ხანმოკლე ოცნება და ნაღვლიანად ვეკითხები ჩემს თავს: რატომ გარდამთიელი ვინმე არა ვარ, რომ ერთბაშად მოვიტაცო ჩემი ოცნების საგანი, გავეკურცხლო მასთან ერთად სადმე შორს, შორს მივალ ადგილას და იქ, იმასთან ერთად შევიმოკლო დარჩენილ სიცოცხლის დღენი...

**ქმარი.** (პაპიროსს შორს გასტყორცნის, თვალები საშინლად აენთება. ეტყობა, რომ საშინელ ბრძოლას განიცდის. შემდეგ ცოტა ღონეს მოიკრებს და თითქმის დამშვიდებით). როგორც ვხედავ, გარდაწყვეტილი გაქვს ჩემი ნიშანში ამოღება, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ ნიშანი სწორედ ვერ აიღო და უვნებელი დაგრჩე. რას იზამ, მაშინ?

**მეგობარი.** მაშინ? მაშინ... ხელ-მეორედ ამოგიღებ ნიშანში...

**ქმარი.** (გარეგნულად დამშვიდებული). კარგად მესმის შენი ეხლანდელი სულიერი მდგომარეობა. კარგად ვიცი აგრეთვე, თუ რა გაიძულებს ასე მოიქცე... შენ გინდა, რომ ერთბაშად ვიშიშვლოთ ხმლები და გააფთრებულ ვეფხვივით ვეკვეთოთ ერთმანეთს?! არა გრცხვენია! შენ შენი წრეს გარდასული გულ-ახდილობით თქოს განგებ გინდა მოახდინო ჩემზე შთაბეჭდილება. გარწმუნებ, მე შენ ფრიად კარგად გიცნობ და დაბეჯითებით ვიცი, რომ შენისთანა ადამიანი არას დროს მოულოდნელად არ დაეცემა მოპირდაპირეს, თუნდაც უკანასკნელს ასჯერ უფრო ლამაზი ცოლი ჰყავდეს, ვიდრე მე. და აი, როგორც ჰხედავ, შენმა გულ-ახდილობამ სულ სხვა ნაყოფი გამოიღო, ვიდრე მოელოდი. ამიერიდან ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი აღარ არსებობს და გულწრფელობისათვის გულწრფელად გიწვდი ძველი მეგობრის პატიოსან ხელს. მეგობრებს შორის...

**მეგობარი.** (ხელს ჩამოართმევს და ოდნავ შესატყობ ირონიით) მეგობრებს შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს მსგავს მოვლენას, არა? (პაუზა). როგორ ინადირე?

**ქმარი.** (გახარებული რომ ამ უსიამოვნო საუბარს მოეღო ბოლო) ჩინებულად. ნადირობა ძმავ, ერთად-ერთი რამ არის, რასაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია ფასი და რამედ ღირს. ნუ იწყენ და ნადირობას მე ბევრად უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე შენს სინამდვილესთან ძალიან შორს

*) სიუჟეტი აღებულია პოლონელთა მწერლის მ. ვინიარსკის მოთხრობიდან. **ლ. ა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენია", რომელიც დაბეჭდილია გაზ. „კოლხიდის" მე-28 ნომერში. მეორე განყოფილებაში ბავშვებმა წაიკითხეს იგავ-არაკები „ჭრიჭინა და ჭიანჭველა", „კვარტეტი" „ჭირვეული თამადა" როლების განაწილებით. კარგი გამოვიდა „ჭირვეული თამადა". ეს განყოფილება შესდგებოდა კიდევ ლექსების კითხვისაგან სხვა და სხვა მწერალთა ნაწარმოებიდან. ბევრმა მშვენივრად წაიკითხა ლექსი. ბევრი აცინა საზოგადოება ლექსების მოხდენილი წაკითხვით ოთხი წლის ბავშმა კუპრაშვილმა, რომელმაც საზოგადოების თხოვნით სამჯერ წაიკითხა ზეპირად სხვა და სხვა ლექსი; ყველა აღტაცებაში მოიყვანა ამ პატარა ბავშის მოქცევამ. კარგი იყო კიდევ ამ განყოფილებაში პატარა ჩოხოსანის მიერ წაკითხული ლექსი „პატარა ქართველი". მესამე განყოფილებაში კარგად წაიკითხა აკაკის ლექსი „ობოლი" წერეთლის ბავშმა; ვიოლინი დაუკრეს ცაგარეიშვილმა და მთავრიშვილმა; პიანინოზედ მშვენივრად დაამღერა „ელეგია" ილია ჭავჭავაძის პატარა ქალიშვილმა, რომელიც საზოგადოებამ ორჯელ გამოიწვია. მეოთხე განყოფილებაში სამმა ბავშმა ითამაშა ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „პეტრიკა მოიწამლა". ყველამ კარგად ჩაატარა თავ-თავისი როლი. მეხუთე განყოფილება საუკეთესო იყო: გაიმართა სიმღერა და ცეკვა-თამაში, რომელიც საუცხოვოდ გათავდა. პიანინოზედ დაკვრას და სიმღერა-ცეკვა თამაშსაც ხელმძღვანელობას და დირიჟორობას უწევდა ექიმ ჩარკვიანის ცოლი. საზოგადოთ დილა შინაარსიანი იყო და გვარიანადაც ჩაიარა, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ პროგრამა ერთობ გრძელი იყო. დილა გაგრძელდა მთელი სამი საათი, რის გამო ბავშებს დაღლილობა და მოწყენა დაეტყო. დასასრულ არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო ჩვენი „შლიაპოსანი" ქალების საქციელი: პარტერში სხდომა მათი ქუდების გამო შეუძლებელია; წამოუდგამთ თავზედ მთელი ბაღჩა-ბოსტანი და მიუხედავათ იმისა, რომ თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს მათ ქუდების მოხდას, ისინი ყურადღებას არ აქცევენ, ქუდებით სხდებიან და საზოგადოება სცენაზედ ვერაფერს ვერ ხედავს; თუ გადაწიე გვერდზედ თავი და როგორმე გაიპარეტე სცენისაკენ მათ ქუდებში გაყრილი ნახევარი არშინის სიგრძე ქინძისთავების წვერი თვალს ამოგთხრის და ეს ხომ უარესია. დილის ხელმძღვანელმა ქ-მა ეკ. ნიკოლაძის ქალმა იმ დღეს თვითონ მოიხადა ქუდი, მერმედ ჩამოუარა ქალებს და ყველას სთხოვა სათითაოდ ქუდები მოეხადათ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

**ლადო ბზვანელი.**

# ნაწყვეტები.

I.

**ნაამბობი.**

„ვისაც გული არა სტკივა,
თვალთა ცრემლი არა სცვივა."

მთის ქედზე ვნახე ასული,
ნორჩ ყვავილივით შვენოდა;
მის ნათელ სახეს ღვთაებრივს
სიმწუხრის ნისლი ჰფენოდა.
იგი სტიროდა, თვალთაგან
ბროლის ცრემლები სდიოდა;
გულ-ამოსკვნილი ქვითინით
მოსთქვამდა, მწარედ სტიროდა.
მსურდა შემეტყო ვინ იყო
ის სათნო, ეთეროვანი;
მიველ და ვკადრე სალამი,
კრძალული, ჰაეროვანი.
გავეხმაურე: კეთილო,
წარმტაცო ცნობა გრძნობისა,
გამანდე შენი წუხილი
თუ ღირსი ვიყო ძმობისა.
პასუხი გამცა—მაშ, გეტყვი
ჩემს ამბავს სავალალოსო
მეგობარს ვეძებ, მეგობარს
გულის სწორს, სატრფიალოსო.
ნეტავ იცი კი რა რიგად
მიყვარდა... შეუყვარდიო?
ვით ბავშვს, პატარას, უმანკოს,
ენძელა, ია, ვარდიო.
მაგრამ დაბნელდა ჩემითვის ცა,
ჩამიქრა მზე და მთვარეო,
სული შეწუხდა... წყვდიადით
მოცულა არე-მარეო.
სატრფო დემონათ გადმექცა,
სატრფო დამრღვევი ფიცისო;
და ახლა თუ რას განვიცდი
ეს იცის იმან... იცისო...
სთქვა და თვალთ ცრემლის ღვარ-
თქაფი,
მოსკდა, დაეშვა უბეში:
მაგრამ ამაოთ... შორს იყო...
მისი სატრფო და ნუგეში.

II.

**ვარდი და ბულბული.**

მზე ამოდის მშვენიერი
ძირს მოაფქრვევს ოქროს სხივებს;
მაღალ ტანის მთის ჩანჩქერი
სტყორცნის გიჟმაჟ ჰქვლთა მძივებს
მობიბინე ტურფა ველი,
კეკლუცივით გულს იქარგავს;
ცის ტოროლა, ტლუ ფრინველი,
წკრიალა ხმას შორსა ჰკარგავს.
სევდის ბაღში, გულ-მოკლული,
ვარდისაგან განაწირი;
კვნესის, უსტვენს გლახ ბულბული
სიყვარულით ანატირი.
ის კი ახლად კოკორ შლილი
შესტრფიალებს დილის მზესა;
სხივთა კონაც მოწყვეტილი
ჰკოცნის,
სწოწნის
სიცოცხლესა.
ცის ნარნარი
დილის ცვარი,
თრთის, ლივლივებს სათუთ გულზე;
მგოსანი კი უსატრფოოდ.
სტირის, მოსთქვამს სიყვარულზე.

III.

**შველის ნუკრი.**

მთის დაბლობის ტყიან ხევში,
მოკისკასე წყლისა პირსა,
საცოდავი შველის ნუკრი
დაკოდილი ეგდო ძირსა.
ვიღაც ულვთო მონადირეს
ტყვიით გული გაეგმირა,
ხის დაწვიმულ ობოლ ფოთოლს
ციურ ცრემლით დაეტირა.

IV.

**ნაპოლეონი**

(სურათის ხილვის შემდეგ)

დიდ ოკეანის ტალღათა შორის
ობლად აზიდულ წმინდა კუნძულზე;
იდგა მჭმუნვარე ნაპოლეონი
და დაეკრიბნა ხელები გულზე.
არწივისებურ ამაყი სულით
სატრფო საფრანგეთს თავს ევლებოდა,
თავს ევლებოდა ძველ გვარდიელებს
ცეცხლის თვალები ეღველფებოდა.
შუბლ შეჭმუხვნილი, ბინდის ფერ სახით,
თვალ-ყურს ავლებდა ქოთქოთა ზვირთებს
ბედის სიმუხთლით აღშფოთებული,
კვლავ საბრძოლველად იწვევდა ღმერთებს.

**გოგია უიშვილი.**

# ახალი ამბები

✦ გორიდან გვატყობინებენ, რომ სოფ. ბერშუეთში, კიტრაულში და ბენდერში ადგილობრივ გლეხებს სათანადომთავრობამ მისცა ბრძანება აიყარნენ მემამულეების თხოვნის ასასრულებლად. თუ თავის ნებით არ აიყრებიან, მაშინ ძალით აჰყრიან ბერშუეთელებს და კიტრაულელებს 19 მაისს, ბენდერელებს კი—24 მაისს. რა თქმა უნდა, ეს განკარგულება ზიანის მეტს არასფერს მოუტანს ამ სოფლელებს. ნუ თუ როგორმე მორიგებით გათავება არ შეიძლებოდა ამ საქმისა?..

✦ 23 მაისს არტისტულ საზოგადოების თეატრში საბალეტო წარმოდგენას გამართავს პეტერბურგელი დასი, რომელშიაც მთავარ მონაწილეობას იღებს ჩვენი თანამემამულე თავად ჩერქეზიშვილის ასული ელენე. ჩერქეზიშვილის ასულმა ისეთი ცეკვის ნიჭი გამოიჩინა, რომ მას უკვე დაარქვეს „ქართველი დუნკანი". აისედორა დუნკანი ხომ საქვეყნოდ სახელგანთქმული მოცეკვავე - ქალია. თბილისის შემდეგ ჩერქეზიშვილის ქალი იცეკვებს ბაქოში, მკათათვეში—კისლოვოდსკში; შემოდგომაზე კი პარიზში.

გასაკვირალი ის არის, რომ ჩერქეზიშვილის ქალმა მხოლოდ ეს ერთი წელიწადია, რაც დაიწყო სცენაზე ცეკვა და უკვე სახელი მოიხვეჭა.

✦ ძალიან გაფაციცებით ეძებენ ბოროტმოქმედთ, რომელთაც მცხეთასთან წმ. სამების მონასტერში ამას წინად მოჰკლეს იერომონაქი ილარიონი და დიაკვანი მიხეილი. დაიჭირეს რამდენიმე პირი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს. ჯერ-ჯერობით კი გარკვეული არაფერია. ამბობენ, რომ მკვლელობა ჩადენილია შურის ძიების ნიადაგზე.

✦ ბ. სილ. ხუნდაძე 8 მაისის „კოლხიდის" ნომერში ბრძანებს, ვითომც „თემმა" მხარი დაუჭირა ბ. იმნაიშვილს მათ პოლემიკის დროს. ჩვენ მათი კამათის შინაარსს არ შევეხებივართ. აღვნიშნეთ მხოლოდ მათი „ბაასის" უმართებულო კილო. სხვათა შორის განრისხებული ს. ხუნდაძე გვითითებს იმ „უწმაწურ სიტყვებზე", რომელსაც ვითომც მკითხველი **ხშირად** ხვდება „თემში" დაბეჭდილ საპოლემიკო წერილებში. რადგანაც, ჩვენ დიდი წინააღმდეგი ვართ **უწმაწურ** სიტყვების ხმარებისა, ამიტომ ბ. ხუნდაძე მოვალეა თვითონ მიგვითითოს ამ სიტყვებზე, თუ არ უნდა რომ ცილისმწამებელთა გუნდში ჩავრიცხოთ. რაც შეეხება მისი პოლემიკის არა-სასურველ კილოს, ეს დიდი ხანია შენიშნულია ჩვენი საზოგადოების მიერ. ახალ ამბების შემდგენელმა მხოლოდ აღნიშნა ის, რასაც საზოგადოებაში ლაპარაკობდნენ. ახლაც; როგორ არა სთქვას კაცმა, რომ მთელი მისი წერილი ნაკაშიძის მეუღლის ქ-ბ. ნინოს მიმართ დაწერილია შეუსაბამო კილოთი მერე ეს იმ დროს როდესაც თვით საკამათო საგნის სიმართლე ბ. სილოვან ხუნდაძის მხარეზეა.

✦ დაუსრულებელი „კამათი" და ლანძღვა-თრევა კახ. რკინის გზის გამო ატეხილი იმითი გათავდა, რომ ინჟინერმა იოსებ ანდრონიკაშვილმა გადასწყვიტა სამართალში მისცეს შეურაცხყოფისათვის მიხეილ მაჩაბელი, გაზ. „ზაკავკაზიის" რედაქტორი იმ ფელეტონის გამო, რომელიც „ინჟინერ-პროვოკატორის" სათაურით იყო დასტამბული ამ გაზეთში. მართლაც, ეს წერილი არა-საკადრისად იყო დაწერილი. საზოგადოდ ამ საგნის გამო ბევრი წერილია ორივე მხრიდან უმართებულო კილოთი დაწერილი. ბევრ ცუდ ხმებს ავრცელებდენ სადეპუტატო საკრებულოსთან ახლო მდგომნი პირნი თავის მოწინააღმდეგეზე. ხან რას ამბობდნენ და ხან რას კერძო ლაპარაკში. ახლა დაამტკიცონ თავიანთი ნალაპარაკევი სასამართლოში, სადაც საბუთების მეტს სხვა არასფერს არ მიაქცევენ ყურადღებას. მკითხველებს კი, დროა ორივე მხარემ ააშოროს თავიდან ის მართლაც-და უწმაწურად ხსენება ერთი ერთმანეთისა და უთავბოლო კამათი კახეთის რკინის გზის საქმის გამო, რომელმაც კარგა ხანია თავი მოაბეზრა ყველას და ლამის შეაძულოს ბეჭდვითი სიტყვა.

✦ ბ. სარგის კაკაბაძემ დასტოვა თავის ნებით სათავად-აზნაურო გიმნაზია, სადაც მასწავლებლად იყო მიწვეული. მერე გამოირკვა, რომ ის ამტყუნებს ამ საქმეში მასწავლებელს დავ. კარიჭაშვილს. ეს საკითხი აქამდინ ვერ გამოარკვიეს. გაზეთში სარგის კაკაბაძემ დასტამბა წერილი, რომ აპირებს სასამართლოში უჩივლოს დ. კარიჭაშვილს ცილის წამებისათვის, რომელიც ჩაიდინა მან, ბ. კაკაბაძის აზრით, თავის დასტამბულ წერილში. ჩვენ გვგონია, რომ ეს გზა ვერ მიიყვანს ჭეშმარიტების აღმოჩენამდის. საჭიროა საამხანაგო სასამართლო. ორივე მხარემ უნდა აირჩიოს მიუდგომელი მტკიცე ხასიათის მქონე პირები ამ მძიმე საკითხის გადასაწყვეტად. ურიგო არ იქნებოდა, რომ სკოლის საზოგადოების გამგე კომიტეტსაც თავი შეეწუხებია ამ საქმისათვის. ნუ თუ საზოგადოების ხმა არა სწვდება მას?.. წერა-კითხვის საზოგადოების ძველი გამგეობაც ვერ მოქცეულა წესიერად. როგორც ახლა გამოირკვა მას თვითონ გაუნთავისუფლებია ბ. სარგის კაკაბაძე მდივნობის თანამდებობის ასრულებისაგან. ჩვენ აქამდინ გვეგონა, რომ ბ. კაკაბაძემ თვითონ დაანება თავი სამსახურს, რადგანაც ეს მისი სურვილი თვითონ მისგან გაგვიგონია რამდენჯერმე და ამიტომაც ხმა არ ავამაღლეთ აქამდინ. ახლა კი, რაკი საქმე ასე ყოფილა, ჩვენც ვუერთდებით იმათ, ვინც მოითხოვს, რომ ეს საკითხიც იყოს გამორკვეული. ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა, ეს საქმე უნდა განიხილოს წ.-კ. საზოგადოების ახალმა გამგეობამ.

✦ საჭიროდ ვრაცხთ, სახალხო გაზეთში დაბეჭდილ ქ-ბატონ ეკატერინე გაბაშვილის" წერილიდან მოვიყვანოთ ზოგიერთი განმარტება მისი ბიოგრაფიის შესახებ. პატივცემულ მწერალს წერა დაუწყვია 1870 წელს. მისი ნაწერები 1881 წლამდე იბეჭდებოდა „დროებაში" და „გუთანში". ეს იყო „პატარ-პატარა სურათები გლეხების ცხოვრებიდან" და კორესპონდენციები დღიურ ჭირ-ვარამზე. მწერალს ახსოვს, რომ სახელად ერქვა მათ „გაბედნიერება", „სურათები ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან".1877 წ. დაუბეჭდია საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ წერილი, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს გადაუბეჭდია თავის ცნობილ „ობზორში". თარგმანებიც ბევრი უბეჭდია იმ დროს. დიდი მოთხრობების ბეჭდვა დაუწყვია 1881 წელს, როდესაც „ივერია" ჟურნალად გამოსულა.

✦ როგორც გავიგეთ თბილისის სათ-აზნ. ბანკის ზედამხედველ კომიტეტში 53-ს მსესხებელს შეუტანია განცხადება, რომ ბანკის რწმუნებულთა მომავალ კრებაზე განხილულ იქმნას კითხვა, თუ როგორ გაანთავისუფლონ ვალისაგან ილია ჭავჭავაძისეული სახლი ანდრეევის ქუჩაზედ, ნაანდერძევი განსვენებულის მიერ ქართვ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც ბანკის მმართველი ორგანოები, ისე თვით საზოგადო კრება რწმუნებულთა გაითვალისწინებენ თავის მოვალეობას ერის წინაშე და დაუსაკუთრებენ ამ გზით ქართველ ხალხს მისი დიდი მამულიშვილისაგან ნაანდერძევ მის სახლს.

✦ პარიზიდან ახლად ჩამოსულმა ბ. ივანე თამამშოვმა გვიამბო, რომ ერთი ინგლისელი ქალი დაინტერესებულა თურმე საქართველოს ისტორიით, მეტადრე იმ მასალით, რომელიც **ქართულ სპორტს** შეეხება. მას სურს მერე ცალკე თხზულება გამოსცეს. ამიტომ თუ ვისმე აქვს ძველი გრავიურები, ან სურათები ან სპორტის შესახებ ცნობები ვთხოვთ აცნობონ „თემის" რედაქციას. მეტადრე გამომკვლეველს სურს შეიძინოს გრავიურა, რომელიც ჰხატავს თამარ-მეფეს, ცხენზე მჯდომარეს.

✦ 9 მაისს გამართულმა თბილისის ქართულ გიმნაზიაში სამუსიკო და სალიტერატურო დილამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. სწორედ მადლობის ღირსნი არიან მასწავლებელნი, რომელნიც პატივცემულ ალ. მდივანის მეთაურობით ყოველ წლივ ასეთ მრავალ საგულისხმო დილას ჰმართავენ.

✦ მეფის მოადგილე კავკასიაში გრაფი ვორონცოვი ამ ჟამად იმყოფება პეტერბურგში.

✦ სახელმწიფო სათათბიროს სესია შესწყდა 14 მაისს, განახლდება—15 ოქტომბერს.

✦ მეფის მოადგილემ დაადასტურა საკრებულოს დაადგენილება თბილისის 7 საარჩევნო უბნად დაყოფის შესახებ. დაყოფილია ამ ნაირად: 1-უბანი—ვერა, 2—ქალაქის შუანაწილი და სოლოლაკი, 3—სომხის ბაზარი და ავლაბარი, 4—ხარფუხი და ნავთლუღი, 5—ჩუღურეთი და რიყე, 6—დიდუბე და კუკია, 7—ნაძალადევი.

✦ საშინელი უბედურება ეწვია საფრანგეთს. 21 მაისს ახალი სტილით პარიზის ახლოს ისსი-ლე-მულინოში გამართული იყო საჰაერო **ფრენა**. მფრენავები უნდა გაფრენილიყვნენ მადრიდისაკენ, ესპანიის დედა-ქალაქისაკენ. ავიატორ ტრენის აპარატი ვერ გაფრინდა. ჩამოვარდა და დაეცა სამხედრო მინისტრს ბერტოს, რომელმაც იქვე სული დალია; მთავარ-მინისტრი მონისი კი ძალიან დაასახიჩრა. დაუშავდა მუხლები, თეძო და მოჰგლიჯა ქუთუთოები. მონისი ამ ჟამად უკედ არის. ჩამოვარდნის დროს ჰაეროპლანმა ხელი წაჰგლიჯა უბედურ ბერტოს.

✦ მილანიდან პროფესორი პოტტი დეპეშით ატყობინებს ერთს აქაურ ოჯახს, რომ მომღერალს თარხნიშვილის ასულს ელენეს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ვიოლეტას როლში—ოპერა ტრავიატაში რომელიც წარმოუდგენიათ მილანში.

---

მყოფს ფანტასტიურ პლანებს, რომელთაც ვინ იცის, ეღირსებათ თუ არა ოდესმე განხორციელება. ჰეი, ჰეი, შენ რომ იცოდე რამდენს პოეზიას, რამდენს გრძნეულს მშვენიერებას შეიცავს ნადირობა! მაგალითად, გინახავს თუ არა როდისმე ისეთი ამაღელვებელი და წარმტაცი რამ, როგორიც არის,—ჯიხვთა ჭიდილი?

**მეგობარი.** (საათს ამოიღებს და მოუთმენლად დახედავს).

**ქმარი.** უფრო წარმტაცს, უფრო დიდებულს სანახაობას ადამიანის სუსტი გონება ვერც კი წარმოიდგენს!.. განსაკუთრებით კი განთიადისას, როდესაც ტყე ისიც არის იღვიძებს და ხმაურობას იწყებს. ამომავალ მზის სხივები თავს ევლება და ელერსება მაღალ ხის მწვერვალებს; ღამის ძილით ძალ-მოკრებილ დედა-მიწის ზედა-პირი ტკბილად იწყებს ქშენას და ნიავთან ერთად ნანინას უმღერს სიზმარში მყოფს ველს-მინდორს. სწორედ, ამ დროს, თითქოს განგებ, კონტრასტის გამოსაწვევად, საშინელი ბრძოლა სწარმოებს—ბრძოლა სამკვდრო—სასიცოცხლო და როგორც ყოველთვის—ქალისა, დედა-ფურის გამო. ჩირგვებში მიმალული სულ-განაბული ვჭვრეტ საუცხოვო სანახაობას და თავ-დავიწყებით ვსტკბები მით. გარს გამეფებულს მყუდროებას ხანგამოშვებით არღვევს მხოლოდ მებრძოლთა საშინელი ქშენა, ფეხთა ბაკუნი და შენაჯახ რქებთა ჭახუნი. არც ერთს მათგანს ნებაყოფლობით არ უნდა დაუთმოს მოპირდაპირეს იქვე შორი-ახლოს მყოფი ტურფა ფური, რომელიც შეუშფოთებლად იმ საშინელ, სტიქიონურ ბრძოლის შედეგს—დასასრულს... მაგრამ აი, მალე, უნდა დასრულდეს კიდეც ეს სასტიკი ბრძოლა: ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ ერთს მათგანს ღონე ელევა, მაგრამ მაინც არ სურს დაუთმოს გამარჯვებულს—საყვარელი. ერთბაშად წამოიწევა ზეზე და საშინელის სისწრაფით აძგერებს რქას მოპირდაპირეს შიგ გულში...

**მეგობარი.** (უნებურად იმეორებს) შიგ გულში!.. (შუბლზე ხელს მიიდებს და ფიქრებში წასული ამბობს). შიგ გულში!..

**ქმარი.** (ისევე ისე გატაცებით). დიახ! ერთი რქის მარჯვე მოქნევა და სასიკვდილოთ დაჭრილი მოპირდაპირე უკანასკნელ ამოოხვრასთან ერთად სამუდამოდ ემშვიდობება ამ წუთი სოფელს... (ადგება, მიუახლოვდება ფანჯარას, ასწევს ფარდას და ქალაქს გადაჰყურებს. ამ დროს შემოსავალ კარებში გამოჩნდება მსახური, რომელსაც ხელში წერილი უკავია, სცდილობს ქმარს არ დაანახოს და შესაფერის მიმიკით ანიშნებს: „როგორ მოვიქცე"-ო). რა საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს ამ შენი ფანჯრიდან ჩვენი ქალაქის პანორამა. (მობრუნდება და დაინახავს მსახურს).

**მეგობარი.** უკაცრავად, მეგობარო, თუ ნებას დამრთავ მე ეხლავე დავბრუნდები, მხოლოდ წერილს წავიკითხავ... (გადის მსახურთან ერთად.)

**ქმარი.** (გაივლ-გამოივლის. უცბად შენიშნავს ხალიჩაზე დაგდებულს კონვერტს, რომელზედაც მისი ცოლის სახელისა და გვარის ინიციალები არის აღბეჭდილი. საშინლად გაფითრდება, აიღებს წერილს და წაიკითხავს. კითხვის დროს თან და თან ინთება და ამ დროს შემოდის მეგობარი, რომელსაც ხელში ისეთივე კონვერტი უკავია, როგორც ქმარს) კიდევ ერთი!?

**მეგობარი.** (ურუდ, მაგრამ გადაჭრით) დიახ, კიდევ ერთი!

**ქმარი.** რას ნიშნავს ყოველივე ეს?

**მეგობარი.** იმას რასაც შენ ჰფიქრობ ეხლა!..

**ქმარი.** (თითქოს თავისთვის) ჩემი ცოლისაგან წერილი შენთან?..

**მეგობარი.** დიახ, შენი ცოლისაგან წერილი...

**ქმარი.** (ზარ დაცემული) და ყველა ისინი... ჩემი აქ შემოსვლის დროს, საჩქაროდ უჯრაში რომ შეინახე?..

**მეგობარი.** არ დაგიმალავ, ისინიც!..

**ქმარი.** (საშინლად არეული) ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის!

**მეგობარი.** (ცივად) მართლაც რომ არა სასიამოვნო ამბავია, მოტყუებული ქმარი ერთბაშად წააწყდება ხერხიანად გაბმულ სიცრუის ქსელს. ეხლა კი რაღარ საშინელი რამ უნდა მოხდეს! მაგრამ რა? ალბად—ჯიხვთა ჭიდილი, რომელიც შენ ასეთის გატაცებით ესეს არის დამისურათე დიახ, ყოველივე ის, რაც ჩვენს შორის ხდება, არაფრით არ განირჩევა შენ მიერ მოყვანილ საუცხოვო მაგალითისაგან...

**ქმარი.** (გონს მოსული, ურუდ). ყოველ შემთხვევაში ჩვენგანს ერთ-ერთს მზე უნდა დაუბნელდეს და უნდა დაიღუპოს!..

**მეგობარი.** როგორც ჯიხვთა ბრძოლაში არა? (ბრაზ მორეული ღიმილით) მაგრამ ნება მომეც მოგახსენო, რომ ორ-ფეხა კაცუნები, რითიმე უნდა განირჩეოდნენ მაინც ოთხ-ფეხა პირუტყვებისაგან.

**ქმარი.** თავიანთის თაღლითობითა და ვერაგობით! (მკაცრად) ხვალ დილით ჩემი სეკუნდანტები მოვლენ შენთან მოსალაპარაკებლად. (წასვლას აპირებს)

**მეგობარი.** ცოტა მოითმინე... ვიდრე სეკუნდანტებს გავანდობდეთ ამ ამბავს და შენს ვითომდა შელახულს პატიოსნების შესახებ უცხო პირებს ავალაპარაკებდეთ, ურიგო არ იქნებოდა ჩვენ თვითონ განგვეხილა ეს ამბავი... თანამედროვე პირობებში და თანამედროვე ადამიანისათვის დუელი მეტად მოძველებული და ყოველივე შინაარსს მოკლებული საშუალება არის.

**ქმარი.** კეთილი, მაგრამ სანაცვლოდ შეგვიძლიან განა ისეთს რამეზე მიმითითო, რაც დუელის მაგივრობას გაგვიწევს?

**მეგობარი.** ვინ იცის?.. შენ, რომ ცოტაოდენის მოთმინებით აღიჭურვებოდე და გულ-დასმით დაუგდებდე ყურს ყოველივე იმას, რასაც მე გეტყვი...

**ქმარი.** (ზურგ შექცეული) სთქვი... ყურს გიგდებ...

**მეგობარი.** ბრმა შემთხვევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს შორის ატეხილ საჭირ-ბოროტო საკითხის საბოლოო გადაჭრაში... ყველაფერი შეიძლება წესსა და რიგზე მოეწყოს და გადაწყდეს ეხლავ...

**ქმარი.** (ისევ ისე) სთქვი, რაშია საქმე?

**მეგობარი.** (ნელის, მაგრამ მტკიცე ხმით). ის... იმას მივანდოთ...

**ქმარი.** ვინ ის, ვის მივანდოთ?

**მეგობარი.** შენს ცოლს..

**ქმარი.** ჩემს ცოლს? (ურუდ) მერე რანაირად?

**მეგობარი.** ის სადაც არის თვითონ გაჩნდება აქ...

**ქმარი.** (თითქოს ვერ მიხვდა) სად...

**მეგობარი.** აქ, ჩემთან.

**ქმარი.** (ერთბაშად გააჟრჟოლებს) ჩემი ცოლი მოვა აქ, შენთან?

**მეგობარი.** დიახ!

**ქმარი.** ჭკუაზე ხომ არ შეიშალე!

**მეგობარი.** სრულიადაც არა! მე მხოლოდ დაუფარავად გითხარი ყველაფერი...

**ქმარი.** მაგრამ რად გგონია, რომ ის უეჭველად მოვა შენთან?

**მეგობარი.** ჩემს აზრს მე ვამყარებ იმ წერილზე, რომელიც ესეს არის მივიღე და წავიკითხე.

**ქმარი.** (ზარდაცემული) ღმერთო!.. მაშ სჩანს, ჩემი ცოლი მართლაც შენი ხასა, საყვარელი ყოფილა! რახან ასეა, ეხლა მე ვიცი! (მიიწევს მეგობარზე. ერთბაშად შესდგება. ყოყმანობს, სახე აერევა) ჩემი ცოლი, ჩემი უმანკოება შენი საყვარელია? ხა, ხა, ხა!..

**მეგობარი.** (გამოაღებს უჯრას, ამოიღებს წერილებს და ჩასდებს პატარა კოლოფში, რომელიც მაგიდაზე არის, მოთავსებული). არა ჯერ კიდევ არა!.. მაგრამ ესეც იცოდე, მე მიყვარს ის, მიყვარს ისე საშინლად, ისე გატაცებით, რომ არაფერს არ დავერიდები, რომ მოგტაცო და დავისაკუთრო, სწორედ ისე, როგორც შენ, ამ რამოდენიმე წლის წინად, მომტაცე და დაისაკუთრე.. და, იმავე დროს, თუ შენს ცოლს ისევ ისე ძველებურად ვუყვარვარ და შენს ალერსს ჯერ კიდევ ვერ ჩაუქრია მის გულში ჩემდამი მკრთალად მბჟუტავ სიყვარულის ნაპერწკალი—მაშინ ერთი მითხარი, რად გინდა ისეთი ცოლი, რომელიც სულითა და გულით სხვას ეკუთვნის და არა შენ?..

**ქმარი.** მაგრამ თუ მას შენ არ უყვარხარ?

**მეგობარი.** მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდე, სიცოცხლეს ჩემთვის არავითარი ფასი არ ექნება და ამ წუთისოფელსაც სამუდამოდ გამოვეთხოვები...

**ქმარი.** აა! მაშ საქმე მხოლოდ ის არის, რომ დანამდვილებით გინდა იცოდე,—მას კვლავინდებურად უყვარხარ თუ არა, არა?..

**მეგობარი.** სწორედ!.. როგორც გითხარი ის აქ იქნება ოცი წუთის შემდეგ. საქმის სავსებით გამოსარკვევად ამაზე შენ ამ თავიდვე უნდა გამომიცხადო შენი თანხმობა,—ის აქ დარჩება ნახევარი საათი, არც მეტი და არც ნაკლები. ამ მცირე ხნის განმავლობაში მე სრული უფლება მექნება თავისუფლად ველაპარაკო მას ჩემ გრძნობაზე, ჩემს ობოლ სიყვარულზე. ყოველივე ღონეს ვიხმარ, მოვიხმობ მთელს ჩემს ცოდნას, გამჭრიახობას, რომ როგორმე მოულბო მას გული, ფეხ-ქვეშ დაუვარდები და ისე შევაბრალებ ჩემს თავს...

**ქმარი.** (მკაცრად) კმარა!

**მეგობარი.** (ისევ ისე) შენ კი ამ დროს სულ უბრალო, გარეშე მაყურებელი იქნები...

**ქმარი.** (გააწყვეტინებს) როგორ, შენ გინდა, რომ მე...

**მეგობარი.** მოითმინე, მე ჯერ არ დამისრულებია... ყოველივე ის, რაც გითხარი, მხოლოდ შესავალია, მთავარი საგანი ეხლა გეუწყება. (ამოიღებს უჯრიდან რევოლვერს და გარდასცემს) როგორც ხედავ დამბაჩა გატენილია! თუ გრძნობ, რომ შენში მოიპოვებ იმოდენა ძალასა და გამბედაობას, რომ შესძლებ ჩემს პირობებზე დათანხმებას, მაშინ გამომართვი დამბაჩა და აი, აქ, ამ წითელს ფარდას ამოეფარე, ნახევარი საათი შენ უნდა დაჰყო ფარდის უკან და შემდეგ გამოხვიდე.

**ქმარი.** ნახევარი საათის შემდეგ... დამბაჩით ხელში... ფარდის უკან დამალვა... ერთი გამაგებინე რა მიზნის გულისათვის?

**მეგობარი.** იმ უბრალო მიზნისთვის, რომ შენ თვითონ თვალ-ნათლივ იხილო ყოველივე ის, რაც აქ მოხდება. თუ შენი ცოლი მოვა აქ, მოიღებს მოწყალებას და ყურს დამიგდებს, თუ შევძლებ და დავარწმუნებ ჩემი გულწრფელობაში და ლმობიერებით ამოძრავებული მეტყვის, რომ წარსულ აწმყოში სულიერად იყო და არის ჩემი და მომავალშიაც სულთან ერთად ხორცითაც იქნება ჩემი გესმის, მხოლოდ ჩემი, და იმავე დროს, თუ ჩვენი მხურვალე ბაგენი ერთმანეთს შეეწებებიან. (ქმარს საშინლად გააჟრჟოლებს).—დამშვიდდი—ჩვენი ნაცნობობიდგან პირველს, მაგრამ ხანგრძლივ კოცნაში, მაშინ... (ქმარი ძალზე იტანჯება, არ იცის როგორ მოიქცეს, რა ჰქნას, ხშირად ხელს ისვამს თავზე. მეგობარი კი შეუბრალებლად განაგრძობს) მაშინ შენ იქნები წაგებული და დამბაჩის გრიალი ამ დროს იმის მომასწავებელი იქნება, რომ პირობა პირნათლად შესრულდა....

**ქმარი.** (სასოწარკვეთილი) რა სატანისებური საშუალებაა!..

**მეგობარი.** სამაგიეროდ ეს საშუალება სამუდამოდ განგაშორებს ერთს უსაშინელესს მტერს...

**ქმარი.** არა, ეს რაღაც ალ-ქაჯური საშუალებაა. მერე და სად არის აქ ორივე მხარისათვის ხელ-საყრელი პირობათა ერთგვარობა?!

**მეგობარი.** ამ შემთხვევაში ყველაფერი შენდა სასარგებლოდ არის მოწყობილი და უპირატესობაც შენ გეკუთვნის... მხოლოდ იქონიე გამბედაობა და დამშვიდებით განსაჯე ყოველივე... ის წამი, როდესაც სამუდამოდ განშორდები ისეთს დაუძინებელ და საშიშ მტერს, როგორიც მე დღეს ვარ, არა მგონია შენთვის სასურველი არ იყოს... მაშ სცადე და ისარგებლე ამ მოხერხებულის წამით.

**ქმარი.** (თავისთვის) ჩემი ცოლი რომელსაც ასე გატაცებით ვუყვარდი და მე უყვარვარ ეხლაც,—მაინც საჭიროდ სთვლის მოვიდეს აქ, ამ საშინელ ადამიანთან... (ერთბაშად ცეცხლ-მოკიდებული) ოხ, არა, ტყუილია!.. ასე მხოლოდ საყვარლები იქცევიან, ან ისინი, რომელთაც ჰსურთ იმად, გახდომა...·დიახ, დიახ...ჰმ!მაშ, ასე!..

**მეგობარი.** დამშვიდდი... შენის ბედნიერის თვალებით ეხლავ იხილავ ისეთს საბუთს. რომლიდანაც აშკარად დარწმუნდები, რომ შენი ცოლი ჩემი საყვარელი არას დროს არ ყოფილა. (წერილს გარდასცემს) აი წაიკითხე!

**ქმარი.** (კითხულობს წერილს, სახე თან და თან უმშვიდდება და უბრწყინდება). „უგულო ადამიანო! ნუ თუ ჩვენს მხარეში იმიტომ დაბრუნდი, რომ დღითი-დღე კვალ და კვალ მსდიო და მომიწამლო ისედაც მოწამლული და მოშხამული სიცოცხლე? ერთხელ და უკანასკნელად კიდევ გიმეორებ იმას, რაც ათასჯერ მითქვამს შენთვის: რაც უნდა მომივიდეს, როგორც არ უნდა მიყვარდე და ვგიჟდებოდე შენთვის, მაინც არ შევლახავ იმ ადამიანის სახელსა და პატიოსნებას, რომელიც ჩემი ქმრის სახელს ატარებს და რომელთანაც შეკავშირებული ვარ სამუდამოდ. ამ ჟამად შენ ითხოვ ჩემგან იმ წერილების უკან მისაღებად, რომელთაც მე გწერდი შენ შენდამი სიბრალულის გრძნობით ამოძრავებული, მე თვითონ მოვიდე შენთან, შენს ბინაზე... კეთილი და პატიოსანი.—ამაზედაც გეთანხმები... შენი პატიოსნება და დედი-ჩემის ამაყი სისხლი, რომელიც ჩემს ძარღვებში სჩქეფს სრულად საკმარისი თავდები არის იმის, რომ ჩემს მანდ მოსვლას სახიფათო არა მოელის რა. და, აი, იმ წამს, როდესაც ჩემი წერილი ხელთ გექნება, იცოდე ეტლი შენსკენ მოაქანებს. პირველად და, ვფიცავ უზენაესს, უკანასკნელად, შენ მიერ ასე დასჯილსა და განაწამებს ძველს მეგობარს. (ქმარი წერილს ტუჩებთან მიიდებს და ხანგრძლივ ჰკოცნის).

**მეგობარი.** ხომ დარწმუნდი... ეხლა შენ თვითონ მითხარი, განა ჩემ მიერ ნაჩვენები საშუალება ბევრად უფრო ხელსაყრელი არ არის შენთვის, ვიდრე დუელი? ეს საჭირ-ბოროტო საკითხიც მან გადასჭრას და საბოლოოდ გამოარკვიოს, ვისის მიზეზიდაც ჩვენს შორის დავა არის ატეხილი... დეე, ჩვენს შორის მას გაუღიმოს ბედმა და გაუნათოს მზემ ვისაც არჩევანი ხვდება! მაშ, თანახმა ხარ?

**ქმარი.** (ყოყმანობს, წინ წამოიწევს თავისთვის) ჩემს ცოლს, ჩემს საყვარელ ცოლს, ვიცი ვუყვარვარ, და მაინც ვერ გამიბედნია.. თითქოს რაღაც წინაგრძნობა მეუბნებოდეს უარის თქმას.. (ამ დროს მოისმის ზარის წკარუნი, შეკრთება, მაგრამ ერთბაშად გაიმართება წელში და ამაყად) აჰა, მგონი ისიც! კარგი, თანახმა ვარ!.. (ფანჯარაზე ჩამოშვებულს წითელს ფარდას ამოეფარება. ამ დროს საათი ერთხელ ჩამოჰკრავს).

**ლადო ახობაძე.**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეკატერინე გაბაშვილის

**სამადლობელი წერილი.**

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი და გულმხურვალე მადლობა უძღვნა ყველა იმ დაწესებულებათა წარმომადგენელთ, იმ გაზეთების რედაქციებს, მასწავლებელთა და მრავალ პატივცემულ კერძო პირთ, რომელთაც პირველ მაისს პატივი მცეს და ჩემი ორმოცი წლის საზოგადო და სალიტერატურო მოღვაწეობის დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღეს პირადად დასწრებით და თანაგრძნობის განცხადებით, თუ წერილებით და მოსალოც დეპეშებით.

პირველი მაისი 1911 წლისა უდიდესი და უბედნიერესი დღე იყო ჩემს სიცოცხლეში და, თუ სიბერე და უძლურება ხელს არ შემიშლის, ვეცდები გაორკეცებულის სიმხნევით განვაგრძო ჩემი დაწყობილი პატარა საქმეები, ისეთის თანაგრძნობით და სიყვარულით დაფასებულნი საზოგადოებისაგან.

უმორჩილესად ვთხოვ ტფილისის რუსს და სომხურ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩემი სამადლობელი წერილი, რადგანაც ზოგიერთმა რუსთა და სომეხთა საზოგადო დაწესებულებამაც თავისის თანაგრძნობით მოიხსენიეს ჩემი ორმოცი წლის იუბილე და ამითი ის დღესასწაული ჩემთვის უფრო დიდმნიშვნელოვან ჰყვეს.

აგრეთვე ქართველ ქალებს, ქართველ ქალთა წრეს წ. კ. ს. არსებულს, რომელთა მეოხებითაც გამოიცა ჩემი ნაწერები ერთ მშვენიერ გამოცემად და რომელთაც ისე ჩინებულად და ბრწყინვალედ მოაწყეს ჩემი იუბილე, ულრმეს მადლობას ვწირავ და გულითა ვხარობ, რომ ჩემმა მკრთალმა საქმიანობამ ჩემმა დიდი ხნის სურვილმა ქალთა უფლების აღორძინებისა, ეს დიდი ქალთა დღესასწაული შეაქმნევინა იმათ და ჩემის სახელით წარმოგზავნილი საზოგადო სიხარული და სიყვარული ყველა ქართველ ქალთა გულში ამაღლების და წარმატების სურვილით აღავსო.

ეკატერინე რევაზის ასული
გაბაშვილისა.

## რას აკეთებენ სოფლად შუა ქართლში?

თითო-ოროლა სოფლის ინტელიგენტთა და სოფლისადმი გულშემატკივართა თაოსნობით და მუყაითობით ამ ბოლო ხანებში წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი სოფლად ფეხს იკიდებენ. ამ ჟამად წვრილი საკრედიტო ბანკები უკვე მოქმედებენ გორის მაზრის შემდეგ სოფლებში: დოესს, ზემო ჭალას, მეჯვრისხევს, ცხინვალს, ოძისს და საქაშეთს. ამნაირივე სასოფლო ბანკების დაარსებაზე უკვე აღძრულია შუამდგომლობა ამავე მაზრის სოფლებ—ბაკურიანისა, ქვიბისისა, ქვიშხეთისა და ჭობისხევისაგან. იმ თავიდან ამ საქმეს გლეხობა უნდობლად შეხვდა, ვინაიდან წარსულში ბევრ სხვა ამგვარ დაწესებულებაში მოტყუებულ გლეხობას, არც ამ ახალი დაწესებულების სარგებლიანობა სჯეროდა, მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიე, თითო-ოროლა სოფლისადმი გულშემატკივართა თაოსნობით და ენერგიით მაინც მოხერხდა ამ დაწესებულებათა მოგვარება სოფლად. უეჭველია ახლო მომავალში მთელი მაზრა მოიფინება ამგვარ დაწესებულებით და გაჭირვებულ სოფლის გლეხობას საშუალება მიეცემა მევახშეს თავი დააღწიოს და სასოფლო ბანკებიდან მცირე სარგებლით აიღოს სესხი გაჭირვების დროს. როგორც ვიცით, ამ ბანკებში წლიური სარგებელი 10—12% არ აღემატება. აწმყო კი ამ სასოფლო ბანკებისა ჯერ ერთი იმაზეა დამყარებული, რომ მსესხებელმა აღებული სესხი მართლა თავის სამეურნეო წარმოების გაუმჯობესების საქმეს მოახმაროს და შემდეგ შესძლოს დანიშნულ ვადაზე დაუბრუნოს ბანკს ძალ-დაუტანებლად; მეორე, ბანკის სათავეში ისეთი პირები ჩაუდგნენ, რომ სურვილი ჰქონდეთ სოფლის სამსახურისა და საჭირო გამოცდილებაც შესწევდეთ. რაც შეეხება პირველს, მომავალი გვიჩვენებს, რამდენათ პირნათელნი იქნებიან მსესხებლები, ხოლო სათავეში დგომის მოსურნეთა ცოდნა-გამოცდილებაზე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ხშირად ბევრს ჩვენგანს არა საქმე და მისი მომავალი აინტერესებს, არამედ მარტო ხელმძღვანელი ორგანოს წევრობის სახელის ტარება. როგორც ვიცით, სოფელში რომელიმე მსხვილ მემამულის სურვილს ნებით თუ უნებურათ დღევანდელ პირობებში გლეხობა და ხშირად სოფლის წვრილი ინტელიგენციაც აშკარად წინ ვერ გადაელობება, და თუ ამნაირი პირი მოისურვებს საქმის სათავეში ჩადგომას, თავის თავად ცხადია, კიდეც მიაღწევს მიზანს. ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ რამოდენიმე სოფლებში უკვე მოხდა ამნაირი მაგალითები. რომ მართლა საქმისადმი გულშემატკივარ პირებს არ ჩაეშალათ არჩევნები, საკვირველია, როგორ უნდა ეწარმოებიათ ეს საქმე ისეთ პირებს, რომელთაც, სიმართლე უნდა ითქვას, სწავლაც მიუღიათ, ქონებაც შესწევთ და ოჯახიშვილობაც, მაგრამ, სამწუხაროთ, იმდენად ჩამორჩენილან, რომ სხვა რომ არაფერი მოვსთხოვოთ, ერთი ყოველ-დღიური ქართული გაზეთის გამოწერა და წაკითხვაც კი ვერ მოუხერხებიათ. მე განგებ არ ვასახელებ სად და რომელ ამხანაგობაში მოხდა ეს, რათა საქმე უფრო არ გავამწვავო, ხოლო უთუოდ უნდა აღვნიშნო, რომ სასურველია ყველა ჩვენთაგანმა ამნაირ შემთხვევაში დასძლიოს ცრუ თავმოყვარეობა და მოთავეობა დაუთმოს იმათ, რომელნიც მართლა ცოტათ თუ ბევრად ჩახედულნი არიან საქმეში, სოფლის კეთილდღეობისათვის დღემდისაც გაუკეთებიათ რამე და გლეხობის ნდობაც აქვთ მოპოვებული. ვისაც კი დღეიდან ეღვიძება სურვილი სოფლის სამსახურისადმი, ის კი ჯერჯერობით ეცადოს გაიცნოს სოფლის საკითხ-საჭიროებანი და შემდეგ ჩაუდგეს სათავეში ამა თუ იმ სოფლისთვის საჭირო დაწესებულებას. წვრილი საკრედიტო დაწესებულება სოფლად სასწაულთმომქმედი დაწესებულება როდია, რომ სოფელს ყოველგვარი საჭიროება დაუკმაყოფილოს.

სოფელს კიდევ ბევრი სხვა რამე სჭირია და ვისაც სოფლისადმი გული შესტკივა და სამსახური სწყურია შეუძლია ბევრი რამ სასარგებლო საქმე მოჰგვაროს მას. იყოს მხოლოდ სურვილი და მასთან ცოდნა-გამოცდილებაც.

ამ ბოლო ხანებში მთავრობამაც კი გამოუწოდა ხელი სოფელს დასახმარებლად, ხოლო რამდენად ისარგებლებს სოფელი ამით, ეს თვით სოფლის მოწინავე ნაწილზე არის დამოკიდებული.

ვინც ქართულ ჟურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებს, მას უთუოდ არ გამოეპარებოდა ბ-ნი ხუნდაძის წერილი გაზ. „თემის“ ერთ-ერთ ნომერში, შესახებ პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებლებისა სოფლად, რომელსაც მთავრობა დახმარებას უწევს 2000 მან. ყოველ-წლივ და რომელიც ადვილი განსახორციელებელია ბევრს ჩვენებურ მემამულისათვის, ვისაც მართლა სურს რამე გააკეთოს სოფლის საკეთილდღეოდ. აგრეთვე ჟურნალ „მოსავალში“ ამას წინად იყო ცნობა, რომ მთავრობა დახმარებას აძლევს სოფლის საზოგადოებათ საქონლის ჯიშის გაუმჯობესებაში ბალის უფასოთ დათმობით. საცდელი მინდვრების დაარსებაც ადვილი მოსახერხებელია სოფლად, თუ კი ვინმე მემამულეთაგანი ითავებს. წლეულს, მგონი სამეურნეო საზოგადოება უთმობდა სოფლის მეურნეთ უფასოთ ბალახების თესლეულობას და სხვ... მაგრამ ისარგებლა კი რომელიმე ჩვენმა მემამულემ ამით? სამწუხაროთ, არა. დარწმუნებული ვარ ბევრმა ეს არც იცის იმიტომ, რომ, როგორც ზევით მოვიხსენიე, ჩვენებურ სოფლის მეურნე წერა-კითხვის მცოდნე თავად-აზნაურობა ყოველ დღიურ ქართულ გაზეთის გამოწერა-წაკითხვასაც კი გაურბის. ეს, რასაკვირველია, სიღარიბით არ აიხსნება, ვინაიდგან 4—5 მან. ხშირად იმავე აზნაურ მეურნის ჯიბიდან დუქანსამიკიტნოებში იხარჯება. ჩვენ არც გვაკვირვებს წერა-კითხვის არ მცოდნე გლეხობის ჩამორჩენა და ვერ ვუსაყვედურებთ მას, რომ ის გაზეთს არ იწერს და არ კითხულობს, მაგრამ როდესაც სოფლის მეურნე აზნაური, რომელსაც თავისი სიყრმე გიმნაზიებში გაუტარებია და ასე თუ ისე წერა-კითხვა მაინც უსწავლია, ერთ რომელიმე ქართულ გამოცემასაც არ იწერს და არ კითხულობს, ეს საკვირველიც არის და სამწუხაროც.

აღსანიშნავია, რომ მთელს რაიონში, სადაც ეს წერილი იწერება ასამდის წერა-კითხვის მცოდნე თავად-აზნაურობა სცხოვრობს და ქართული გაზეთი კი მხოლოდ ერთს მოსდის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, რომელიც აუცილებელ საჭიროებას უნდა შეადგენდეს დღეს ყოველ წერა-კითხვის მცოდნე ქართველ მეურნისათვის, მთელს რაიონში მხოლოდ ერთს აქვს გამოწერილი. ასეთია დაუდევრობა და უმოქმედობა სოფლის მცხოვრებთა იმ ნაწილისა, რომელსაც შედარებით გლეხობასთან ცოდნაც მეტი აქვს და ქონებაც, მაგრამ მაინც სოფლის დაცემის და გაღატაკების მიზეზათ ხშირად ასახელებენ მხოლოდ გლეხობის მოუხეშაობას და უკულტურობას, რის წყალობით ვითომდა ჩვენი გლეხობა ვერ ეგუება ეკონომიურ პროგრესს. შეიძლება დღეს-დღეობით ეს ასეც იყოს, მაგრამ ეს ჩამორჩენილობა სახელდობრ ქართველი გლეხობის თანდაყოლილი თვისება როდია. წარსულ ბნელს და უვიც ცხოვრებას თავის კვალი აქვს დატოვებული გლეხობის ფსიხოლოგიასა, ზნესა და ჩვეულებაში. აწინდელი სოფლის ცხოვრების პირობებიც არ უწყობენ ხელს გლეხობის სულიერ განვითარებას. უბრალო წერა-კითხვის ცოდნასაც კი არის მოკლებული უმრავლესობა. სკოლები არ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს, არა აქვთ სამკითხველოები, არ ავრცელებენ სამეურნეო ცოდნას სოფლად, არ იმართება სახალხო კითხვები, არ არის რიგიანად მოწყობილი მიმოსვლა (გზები), რომ შესძლონ თავიანთ ნაწარმოების გარეთ გატანა და რიგიან ფასებში გასაღება. მსხვილი მემამულე წინ არ მიდის, თავის სამეურნეო წარმოებაში, არ შემოაქვს გაუმჯობესებული საშუალებანი, რომ მეზობელმა გლეხებმაც დაინახონ და წახალისდენ. ამნაირად, ყოველგვარ საშუალებას მოკლებული და თითქმის პირველ-ყოფილ მდგომარეობაში ჩარჩენილი გლეხობა, რასაკვირველია, ადვილად ვერ დასთმობს მამა-პაპისაგან მიღებულ ფორმებს სამეურნეო წარმოებაში, მაგრამ ასწავლეთ, უჩვენეთ, დაანახვეთ რამე სასარგებლო და, თუ არ შეითვისონ და არ გამოიყენონ, მაშინ უსაყვედურეთ, რომ მხოლოდ გლეხობაა სოფლის ეკონომიურად ჩამორჩენის მიზეზი.

S.

—

P. S. ეს წერილი უკვე მზათ გვქონდა, როდესაც გაზ: „სახ. გაზ.“ № 297 წავიკითხეთ გურჯაანელ კორესპონდენტის წერილი, რომელიც სხვათა შორის გვატყობინებს, რომ სამკითხველოსათვის შეგროვილი თანხა საზოგადოების ერთ-ერთ მსხვილ წევრს ჩაუვარდა ხელში და დღემდისაც არ დაუბრუნებია დანიშნულებისამებრ. ჩემი წერილიც ზოგიერთების ამნაირ მოქმედების მეოხებით არის გამოწვეული. ამისთანა პირები აფერხებენ სოფლის წინსვლას და არამც თუ თითონ არას აკეთებენ, არამედ სოფლის ინტელიგენციასაც უკარგავენ მოქმედების ხალისს.

S.

## პატარა ექსკურსანტები.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ყოველ წელს აძლევს ქალაქის ოთხ პირველ-დაწყებით სკოლებს 300 მანეთს, აქედან—100 მან. შობის ხის გასამართავად და 200 მან. საექსკურსიოდ; მასწავლებლებიც წელიწადში ერთხელ, მაისის უქმეებში, მართვენ ექსკურსიებს, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას მარტო ის უფროსი განყოფილებების მოსწავლენი, რომელნიც ამთავრებენ იმ წელში სწავლას. ამგვარად ექსკურსანტების რიცხვი ყოველ წელიწადს ადის 120-ზედ. წელს, რადგანაც რკინის გზის გამგეობამ უარი შემოთვალა სპეციალური ვაგონების გამოგზავნაზედ ექსკურსანტთა სიმრავლისა და თან თავისუფალ ვაგონების უქონლობისა გამო, მისთვის ექსკურსანტები გაიყვენ სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსის ბ. ამაშუკელის დახმარებით მიეცა თითო პატარა ვაგონი. პირველი ჯგუფი, ქალაქის მესამე სკოლის მოსწავლეები გაემგზავრენ ჩაქვა-ბათომში 5 მაისს, ღამის 1-ლ საათზედ. 6 მაისს დილით მათ დახვდათ ჩაქვში ჩაქვის სახელმწიფო მამულების გამგის ბ. პეტროვის განკარგულებით გამოგზავნილი მებაღე მ. ანდღულაძე, რომელმაც დაათვალიერებია ექსკურსანტებს ჩაის პლანტაციები, ბაღები სხვა და სხვა უცხო ხეებით, ბამბუკის ტყე და ქარხანა, სადაც ბამბუკიდან ამზადებენ სხვა და სხვა ნივთებს და ჩაის ფაბრიკა, სადაც უყველგვარად მუშავდება ჩაი. საღამოს ექსკურსანტთა ვაგონი გადაბეს საქონლის მატარებელს და ნახევარი საათის შემდეგ პატარა ექსკურსანტები ეწვიენ ბათომს. იმ ღამეს ისინი დაბინავდენ ქართულ სასწავლებელში; მეორე დღეს, 7 მაისს, აჭარელი მასწავლებლის ალ. მგელაძის ხელმძღვანელობით დაათვალიერეს ქართველების (ჯერ მოუთავებელი) ტაძარი, ბაღი და ნურის ტბა, ბულვარი და ზღვის პირი, ნავთსადგური და სამხედრო გემები, სამხედრო ტაძარი, მუსულმანთა ჯამე და სხვა. თუ რამ საინტერესო იყო პატარა ექსკურსანტებისათვის. შემდეგ ნავებით ისეირნეს ზღვაში და კიდევაც იბანეს. ექსკურსიამ ბავშვებზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; ექსკურსიის ხელმძღვანელნი მასწავლებლები ნ. მესხი და ვ. ნაცვლიშვილი ყველაფერს უხსნიდენ მათ და უპასუხებდენ ყოველ კითხვებზედ. სამი დღის განმავლობაში ბავშვები მხიარულად და კარგად გრძნობდენ თავს. 12 მაისს თბილისში გასწევს მეორე ჯგუფი, ქალების სკოლის მოსწავლეები, რიცხვით 30; 13 მაისს, საღამოს გაემგზავრება მესამე ჯგუფი პირველი და მეოთხე სკოლის მოსწავლენი, რიცხვით 50 კაცი, ჩაქვა-ბათომისაკენ.

ლადო ბზვანელი.

## სამედიატორო განაჩენი.

—

ქუთაისი. 6 მაისი 1911 წელს. სამედიატორო სამსჯავრო, რომლის თავმჯდომარეთ იყო გ. ფ. ზდანოვიჩი და მსაჯულებათ: დ. ბ. ხელთუფლიშვილი, პ. ა. თუმანიშვილი. მ. ე. დარახველიძე და ზ. კ. მაჭავარიანი, საქმისაგამო შორის, ერთის მხრით თ. თ. მელქისედეგ ფაღავასა, დავით მიქელაძისა, ალექსანდრე ლორთქიფანიძისა, და მეორეს მხრით ვასილ წერეთლისა, არ შეხებია არსებითად იმ დავას, რომელიც გამოწვეულ იყო ვასილ წერეთლის ფელეტონის გამო დაბეჭდილს ქართულ გაზეთს „კოლხიდის“ 14 №-ში.

სამსჯავრომ დაინახა, რომ საქმის მორიგებით დასაბოლოვებლად საკმაო საფუძვლებია, მისცა წინადადება ორივე მხარეს, რომ მორიგებით გაათავონ საქმე. ასეთს აზრს სამსჯავროისას ვასილ წერეთელი დაეთანხმა; მან განაცხადა, რომ განზრახვა არ ქონია თვისს წერილში პირადი შეურაცხყოფა მიეყენებია ხსენებულთ თავადთ ფაღავასა, მიქელაძისა, ლორთქიფანიძისათვის და აცხადებს, რომ ხმარებული მისგან ფელეტონში სიტყვები გაუფრთხილებლობით მოუვიდა, რისთვისაც წინაშე მათ ბოდიშს ითხოვს. თვისის მხრით თ. თ. მ. გ. ფაღავამ და დ. ა. მიქელაძემ დასძინეს, რომ მათ ვასილ გიორგის ძე წერეთლის განცხადება აკმაყოფილებს. ამის შემდეგ ინციდენტი ორივე მხარემ დასრულებულათ ჩასთვალა და ითხოვა შემდეგში საქმის წარმოება სამედიატორო სამსჯავროსაგან მოსპობილ იქნეს.

ვასილ წერეთელი. მ. ფაღავა. დ. მიქელაძე, სამედიატორო სამსჯავრო თანახმად ორივე მხარის სურვილისა საჭიროდ სთვლის, ეს ოქმი დაიბეჭდოს ქართულს გაზეთებში.

გიორგი ზდანოვიჩი.
მ. დარახველიძე.
დ. ხელთუფლიშვილი.
პ. თუმანიშვილი.
ზ. მაჭავარიანი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.


## განცხადება

რ ჩ ე უ ლ ი

პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები

**იაკობ გოგებაშვილისა.** ტომი პირველი. წიგნი დიდი ტანისაა, იჭერს 560 გვერდს წინასიტყვაობით შეიცავს ას სტატიას საჟურნალო და საგაზეთოს ღირს **ერთ მანეთად.** ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში და ყველა პროვინციალურს განყოფილებაში „წერა-კითხვის საზოგადოებისა.“

## იჯარით იძლევა

თავად ციციშვილების მამული „ზემო-საციციანოს-მთა“ მდებარე თბილისის გუბერნიის სამ მაზრაში: თბილისისა, გორისა და ახალქალაქისა. მამული შეიცავს დიდ ტყეს, საძოვარს, სახნავ-სათესს, სათიბ ადგილებს, წისქვილებს, ბაღებს, დასახლებულ სოფლებს და სხვ. ზომით არის დაახლოვებით 65.000 დესეტინა.

**დაწვრილებითი ცნობების შესატყობად უნდა მიჰმართონ: სოფ. ქარელს თავ. ციციშვილების კანტორას.**

**განსაკუთრებით მოწყობილი სასტუმრო ახლად შეკეთებული ნომრები**

# „მუხრანი“

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მანთაშოვისა.

**დღე და ღამეში 70 კაპ. 5 მანეთამდე. თვიურად 15 მ. 100 მანეთამდე**

მრავალ ოთახებს აივნები და ფანჯრები აქვს ქუჩისკენ.

ოთახები მდიდრულად არის მოწყობილი; **ელექტრონით არის განათებული;**

**ცხელი და ცივი ვანნები;** მოსამსახურეები ზრდილობიანი და მარდნი არიან.

არის აგრეთვე კომისიონერი

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი 499.

ამხ. **მ. ლაღიძის** და **კომპ.**

ხელოვნურ მინერალურ, ხილისა და სამკურნალო წყლების ქარხანა.

**თფილისი, გოლოვინის პროსპ. 6. ტელეფონი № 441.**

ეს წყლები კეთდება განსაკუთრებით ბუნებრივ, ქიმიურად გაწმენდილ და არჩეულ ხილის წვენიდან და თვით წყალისრულიად განწმენდილი და გამოხდილია.

**წყალი კეთდება მანქანა ვაკუმით სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.**

მომხმარებელთ შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი წყლები მშვენიერი გემოსია და კეთილი სუნნელებისაა.

თფილისის გუბერნიის გამგეობის საექიმო განყოფილების შემწეობით დამტკიცებულია, რომ ჩვენი ფირმის წყლები არის

უღვლად კეთილი თვისებისა

ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ ზოგიერთი ვაჭრები სხვა ქარხნების იაფ წყლებს ჩვენს წყლებში სცვლიან.

ყველგან **წ ყ ლ ე ბ ი** მოითხოვეთ **მ. ლაღიძისა** და **კომპ.** ამხან. ქარხნისა. ყურადღება მიაქციეთ ბოთლის საცობს, რომელსაც ასვია ჩვენი ფირმის დაღი.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლების კარგი თვისებისათვის ოქროს დიდი და ვერცხლის მედლებით.

ფირმა **„ნ. ლგოტაკი.“**

**თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 38. „რაზგონი“ ფოშტის პირდაპირ.**

ველოსიპედები, მოტოციკლები, პატეფონები,

ავტომობილები, ფირფიტები, სასრიალოები, ლაუნ-ტენნისი, ფუტბოლი საკერავი მანქანები, ელექტრონის ზარები. ყველა ამაების საჭირო ნაწილები და კუთვნილებანი. **ავტომობილებისათვის ზეთი და საცხებელი.**

პირველხარისხოვან ფაბრიკების სავაჭრო. **ფასები კონკურენციის გარეშეა.**

ფასის გადახდა **ნ ა წ ი ლ-ნ ა წ ი ლ შეძლება.**

**კატალოგები უფასოა.** ნაქონი ველოსიპედები 25 მანეთიდან.

ბუაჩიძე, სტეფანოვი და კომპ.

## დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

**ზაქ. პ. ფალიაშვილის:**

№ 1 **„მრავალ-ჟამიერ“**: მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. **ორი ქართული რომანსი**: ა) „ნანა შვილო“ ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო“ ფასი 40 კაპ.

№ 3. **„ქართული საეკკლესიო საგალობლები“** (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მ. 25 კ.

№ 4. **რვა ქართული სახალხო სიმღერა** ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. **ქართული სახალხო სიმღერების კრებული** (იმერული, გურული, რაჭული სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მ. 50 კ.

**იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში**

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь“-ში (გოლოვინ. პრ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. **მთავარი საწყობი** ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა № 18.)

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ნოვაია რეჩ“ (ახალი სიტყვა)

**ი. დ. კიკნაძისა.**

მაღაზია მუდამ იღებს ახლად გამოსულ წიგნებს. არიგებს საჯარო, საოჯახო, სასკოლო, საფაბრიკო ბიბლიოთეკებს და სხვ. სხვა ადგილებიდან დაბარებას ორი დღის განმავლობაში ასრულებს მაღაზია. თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირზოევისა, № 22.

თფილისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვექილებისა და მათი თანაშემწეების

## კონსულტაცია

ძლევენ რჩევას სიტყვიერად და წერილობით, აგრეთვე არიგებენ არზებს, საჩივრებს და სხვა საჭირო ქაღალდებს.

ღიაა ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

ღარიბებს ფული არ ერთმევათ

## ახალი წიგნების ბიბლიოთეკ

სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის სახლი, ეზოში, მეორე სართული, მარჯვნივ № 126.

**ყველა ახალი წიგნი რუსულ ენაზე შეიძლება დაიკვეთოს მსურველმა წასაკითხად.**

სამი დღით . . . . . . 10 კაპ.
ერთი თვით . . . . . . 75 კაპ.

**ბედ უნდა დასტოვოს წამლებმა 1 მან.**